პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 15 (20)

16 VIII 1990

ნოდარ ნათაძე

# თავისუფლების კონკრეტული გზა

**ეროვნულ**-განმათავისუფლებელ მოძრაობას არც თუ იშვიათად მიმართავენ ხოლმე შემდეგი სამართლიანი საყვედურით: სად არის თქვენი კონკრეტული პროგრამა? სად არის საქართველოს განთავისუფლების საფეხურების კონკრეტული ჩამოთვლა?

რა უნდა მოვიმოქმედოთ დღეს, რა ხვალ და რა ზეგ, რათა ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ერს საბოლოო ჯამში თავისუფლება და ღირსება აღვუდგინოთ. მოკლედ რომ ვთქვათ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას სთხოვენ განთავისუფლების იმგვარი დაზუსტებული პროგრამის წარმოდგენას, როგორიც, მეტ-ნაკლებად, ბალტიის ქვეყნებს გააჩნიათ დღეს. ამ კითხვით მიმართავენ არა მხოლოდ ცალკეულ პარტიებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს ან პიროვნებებს, არამედ ეროვნულ მოძრაობას, როგორც ასეთს, საერთოდ. ამ კითხვის პასუხი მართლაც საჭიროა.

რა თქმა უნდა, პასუხი იმის გათვალისწინებით, რომ საჯაროდ ყოველთვის ყველა კარტი არ უნდა გახსნათ.

საქართველოს განთავისუფლებისათვის მუშაობა და ბრძოლა საჭიროა მრავალ სფეროში. უნდა ვიმუშაოთ მრავალი მიმართულებით, **პარალელურად:** ყოველ ცალკეულ სფეროში ჩვენი საქმე სხვა სფეროებისაგან დამოუკიდებლად უნდა ვაკეთოთ. როდის რომელ სფეროში უფრო წინ აღმოვჩნდებით და რომელში — უკან, რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებული იქნება არა მარტო ჩვენზე, არამედ გარემოებებზეც. ეს ჩვენი მოქმედების მიმართულებები ასე წამოგვიდგენია:

**I. საპარლამენტო საქმიანობა**

საპარლამენტო ბრძოლა არ არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთადერთი სახე და, შესაძლოა, არც ძირითადი სახე. მაგრამ უეჭველია, რომ იგი ამ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახეა.

ბრძოლის ამ ფორმასთან დაკავშირებით პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ შემდეგი:

დრომ მოიტანა, რომ რუსეთის იმპერიიდან განთავისუფლების საქმეში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოკავშირე რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირადი შემადგენლობის ხარისხს, ვიდრე იმ კანონმდებლობით (სამართლებრივს) მიმართებებს, რომლებიც ფიქსირებულია საბჭოთა კავშირის ან მოკავშირე რესპუბლიკის (და მისი ავტონომიების) კონსტიტუციებში. მიზეზი ის გახლავთ, რომ დღეს უკვე ფაქტია კონსტიტუციური კონფლიქტების არსებობა; მაგალითად, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს აკუთვნებს იმ უფლებებს, რომლებზეც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია უარს ეუბნება, და პირიქით. კიდევ მაგალითი, მავანი და მავანი ავტონომიის უმაღლესი საბჭო ან საოლქო, საქალაქო, სოფლის საბჭო იკუთვნებს იმ უფლებებს, რომელიც რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის მოქმედი კონსტიტუციების მიხედვით მას არა აქვს. ყველა მსგავს შემთხვევაში რესპუბლიკის უფლებებს დაცვა უნდა, დაცვა როგორც პარლამენტის ზნეობრივი სიმტკიცით, ისე მისი იურიდიული სიბრძნით.

ახლა კი უზენაესი საბჭოს და საქართველოს არსებულ სხვა არჩევითი ორგანოების ამოცანებს მივუბრუნდეთ.

აქ, ალბათ, ზედმეტია იმის კიდევ ერთხელ განმეორება, რომ როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს, ისე სხვა არჩევითი ორგანოების უკანონო წარმოშობა (ეს საოკუპაციო რეჟიმის პირობებში დაბადებული ორგანოები გახლავთ) არ აუქმებს მათს რეალურ ქმედებითუნარიანობას: ეს ორგანოები, რომლებიც სხვა არაფერია, თუ არა ოკუპირებული ტერიტორიის თვითმმართველობის ორგანოები, აღჭურვილია სულიერი და იურიდიული ძალით, რომელიც, ვალდებულნი ვართ, დღეს ჩვენი საქმისათვის გამოვიყენოთ.

ამგვარად, რა აქვს საკეთებელი საქართველოს უზენაეს საბჭოს და სხვა არჩევით ორგანოებს?

პირველ ყოვლისა, მან კიდევ უფრო მკაფიო ფორმაში, ვიდრე ეს საქართველოს დღევანდელ კონსტიტუციაშია ფიქსირებული, უნდა დაადგინოს საქართველოს კანონების უზენაესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით. უფრო მეტიც: მან უნდა დაადგინოს, რომ საბჭოთა კავშირის კანონი საქართველოში ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცალსახად დადასტურებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით. გარდა ამისა, საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა დაადგინოს, რომ (რამდენადაც საქართველო დღეს იურიდიულად სამოკავშირეო ხელშეკრულების სუბიექტია) საქართველოს ვერც ერთი შინაგანი საკითხი, მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ჩათვლით, ვერ იქნება საბჭოთა კავშირის იურისდიქციაში, და მოსთხოვოს საბჭოთა კავშირს, რომ თავისი კონსტიტუციიდან ამოიღოს ყველა მუხლი, რომელიც საქართველოს შეეხება პირდაპირ ან არაპირდაპირ. ამ გზით საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა განახორციელოს იურიდიული (კონსტიტუციური) თავდაცვა, იმ იურიდიული (კონსტიტუციურივე) შემოტევისაგან, რომელსაც საბჭოთა კავშირი დაიწყებს საქართველოს წინააღმდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე.

**მეორე:** საქართველოს უზენაესმა საბჭომ უნდა მიიღოს აურაცხელი რაოდენობის კანონები, რომლებიც დაიცავენ საქართველოს პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სუვერენიტეტს და რეალურ პატრონად გაგვხდიან ჩვენსავე მიწაზე. დღეს საქართველოს ვითარება იმგვარია, რომ სადაც არ უნდა მოჩიჩქნოთ და სადაც არ უნდა მოინდომოთ მოვლენათა ზედაპირს ქვემოთ ოდნავ მაინც ჩახედვა, ყველგან დაინახავთ ისტორიაში უპრეცედენტო კოლონიური ჩაგვრისა და ეკონომიკური ექსპლოატაციის მაგალითს. საქართველოში დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას უცხო საკუთრება საქართველოში მდებარე საწარმოებზე (უნდა მოხდეს მათი ნაციონალიზაცია), მუქთად (ანუ მარტო წარმოების ხარჯების ანაზღაურებით) გატანა საქართველოს წიაღისეულისა, უნდა აღიკვეთოს რუსეთის საწარმოებისა და კოოპერატივების მიერ საქართველოში საწარმოთა ყიდვის პროცესი (რომელიც ახლახან დაიწყო), საქართველოს მიწისა და გზების მუქთა გამოყენება არასაქართველოს ინსტანციების მიერ (სამხედროს ჩათვლით), საქართველოს საბაჟო სამსახურის უცხო დაქვემდებარება და ბაჟის უცხოეთში გატანა, აგრეთვე საქართველოს სატრანზიტო გზების მუქთი გამოყენება სხვათა მიერ. უნდა დადგინდეს, გასწორდეს და დაცულ იქნას საქართველოს სახელმწიფო საზღვრები (რომლებიც დღეს, ჯერ ერთი, ღიაა ყველა მსურველისთვის, მეორეც, ყველგან დარღვეულია მეზობელი რესპუბლიკების სასარგებლოდ) დღეს რუკაზე ოფიციალურად არსებულ საზღვრებთან შედარებითაც კი. უნდა აღიკვეთოს ქართველი პატიმრის საქართველოდან გაყვანა და ქართველის სამსახური ისეთ სამხედრო შენაერთში, რომელიც საქართველოს იურისდიქციაში არაა. უნდა შეიქმნას საქართველოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული სამხედრო შენაერთები, რათა საქართველოს თავისი თავის დაცვა შეეძლოს. ამგვარი კონკრეტული საკანონმდებლო აქტები აურაცხელია. გარდა ამისა, უნდა მიღებულ იქნას დადგენილება (და არა მხოლოდ დეკლარაცია, ანუ ლიტონი სიტყვა) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, რასაც, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამ დამოუკიდებლობის რეალიზაციის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი „გარდამავალი“ პერიოდის გამოცხადება ახლდეს ბალტიის ქვეყნების მსგავსად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ორი რამ. ჯერ ერთი, ის კანონმდებლობითი საქმიანობა, რომლის გეგმაც ზემოთ არის მოხაზული, განხორციელდება, ალბათ, არა მშვიდი და ჰარმონიული დემოკრატიული სამოთხის პირობებში, არამედ მტრის მიერ აღმართული მახვილისა და დამიზნებული ავტომატის წინაშე. არავითარი გარანტია არ გვაქვს იმისა, რომ ამ აბსოლუტურად მართებულ ნაბიჯებს, რაც ჩვენმა უზენაესმა საბჭომ უნდა გადადგას, სამხედრო ჩარევა, პროვოკაციები, დივერსიები და ათასნაირი რეპრესიები არ მოჰყვება. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენი კანონდებლობითი საპარლამენტო ბრძოლის დაწყებით ჩვენ უკვე **კონსტიტუციური კონფლიქტის** მდგომარეობაში ვართ ჩვენს მოწინააღმდეგესთან. კონფლიქტი კი იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მხარე ყოველთვის შეიძლება ეცადოს, ეს კონფლიქტი **ძალის გამოყენებით** გადაჭრას.

მეორეც, ზემოხსენებული ნაბიჯების შემომოყვანილმა **თანამიმდევრობამ** — ჩვენი პოზიციების **თანდათანობითი** განმტკიცების და ჩვენი დამოუკიდებლობის **ამ საფუძველზე** — იურიდიულად უფრო დაცულ საფუძველზე დამყარების გზამ არ უნდა შეგვიქმნას შთაბეჭდილება, რომ არსებული უფლებრივი მიმართებების გაუმჯობესება საქართველოს სუვერენიტეტის გაზრდის მიმართულებით, ერთის მხრივ, და ამ მიმართებების სრული მოხსნა, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მეორეს მხრივ, უსათუოდ ერთიმეორისაგან **დროში** გაყოფილ ოპერაციებს წარმოადგენენ — რომ **ჯერ საქართველოს** უფლებათა გაფართოებისკენ მიმართული კანონმდებლობითი ცვლილებები უნდა მოვახდინოთ უსათუოდ და **ამის შემდეგ** დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე ვიფიქროთ. მოქმედების ეს ორივე მიმართულება — საქართველოს კონსტიტუციური და რეალური სუვერენიტეტის გაფართოება, როგორც ასეთი, და საქართველოს აბსოლუტური სუვერენიტეტის მოპოვება, ანუ დამოუკიდებლობის გამოცხადება — დღეს ჩვენთვის **ურთიერთპარალელური** უნდა იყოს. მართალია, დამოუკიდებლობის წარმატებული გამოცხადებისთვის **ხელსაყრელია**, რომ იგი უკვე გაფართოებული კონსტიტუციური და რეალური სუვერენიტეტის პირობებში მოხდეს, მაგრამ როდი ნიშნავს იმას, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტის ხელსაყრელობას **მხოლოდ** ზემოხსენებული პირობები განსაზღვრავს.

**II. საქართველოს დაცვა**

ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, საქართველო „მტრიანია“. მას დაცვა სჭირდება. დღეს ჩვენ ვერ გვექნება საშუალება, მარტონი გავუმკლავდეთ იმ კბილებამდე შეიარაღებულსა და ორგანიზებულ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც თავისი მასშტაბით სამოცჯერ ან ათჯერ-თხუთმეტჯერ აღგვემატებიან (ამ უკანასკნელი კატეგორიის მოწინააღმდეგეებიც ბედმა ჩვენთვის არ დაიშურა), მაგრამ იმის საშუალება კი უნდა გვქონდეს, რომ:

ა) ვამზადოთ საფუძველი იმ მომავალი ძალისათვის, რომელსაც უნარი ექნება მომავალში იმდენად ანგარიშგასაწევი მაინც იყოს ზემოხსენებული დიდი ძალებისთვის, რომ მისი არსებობის ფაქტორი როლს თამაშობდეს **პოლიტიკაში,** სხვადასხვა ბლოკებისა და დაჯგუფებების შექმნის ჩათვლით, და

ბ) დავიცვათ ქართველი **მოსახლეობა** შესაძლო შეიარაღებული თავდასხმებისაგან (რომელთა მსგავსი უკვე განვიცადეთ), რათა ამგვარი თავდასხმის მუქარა ვერ იქნას გამოყენებული **პოლიტიკური შანტაჟის** საშუალებად საქართველოს იურიდიულ (კონსტიტუციურ) ან ფაქტობრივ ვითარებაზე უარყოფითი ზემოქმედების მიზნით.

**III. საქართველოს სიჯანსაღის ზრდა**

დღეს საქართველოს სხეულია ქალაქიც და სოფელიც, ყველამ ვიცით, რომ ამ სხეულში დღეს საქართველოს მკვდარი ადგილები არსებობს. ამ ადგილებს გაცოცხლება, მათში ახალი ჯანსაღი სისხლის ამოძრავება უნდა. ამ პროცესის წარმატებას განსაზღვრავენ ისინიც, ვინც ამ ჯანსაღი სისხლის როლს ასრულებს და ისინიც, ვინც ამ სისხლის მოძრაობას გეგმავს. მომავალ ისტორიულ ქარტეხილებს, რომლებიც ჩვენთვის გარდუვალია, საქართველო რაც შეიძლება ჯანსაღი სხეულით უნდა შეჰხვდეს.

მოქმედების ეს მიმართულებაც პარალელურია ორი ზემოხსენებულისა. იგი კი არ კვეთს, არამედ გვერდით მისდევს მათ. საკუთრივ პოლიტიკური ვითარება ზემოქმედებს ამ პროცესებზე იმ მხრივ, რომ იგი განსაზღვრავს, ვინ (რა ტიპის ადამიანები) იქნებიან ამ პროცესთა მართვის სათავეში და რა ნორმებით (დაწერილით ან დაუწერელით) მოხდება მათი მართვა. მაგრამ პოლიტიკური ვითარების მიერ ამ პროცესთა ცალსახა განსაზღვრა არ არსებობს. ჩვენ შეიძლება ვიგებდეთ ამ პროცესებში მაშინაც, როცა პოლიტიკაში ვაგებთ და პირუკუ. ამასთან ჩვენ შეგვიძლია ამ პროცესების მართვაში ისიც ვიყოლიოთ მოკავშირედ, ვინც პოლიტიკაში ჩვენი მტერია.

**IV საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა**

იგი მდგომარეობს იმ ხელოვნური (საქართველო — საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები) ეკონომიკური კავშირების მოშლაში, რომლებიც პოლიტიკური მიზნით მოგვახვიეს თავს (ეს მოშლა გარდუვალია) და ბუნებრივი კავშირებისთვის გზის გახსნაში ყველასთან (რუსეთის, სომხეთის, უკრაინის და ა. შ. ჩათვლით) იმგვარი სახელმწიფოსმიერი კონტროლის შენარჩუნებით, რომლებიც საქართველოს ინტერესებს შეესაბამება. ამიტომ სიჩქაროდ (თუმცა ფრთხილად) უნდა გავიდეთ საერთაშორისო ეკონომიკის ოკეანეში და კიდევ უფრო საჩქაროდ უნდა მოვიკვეთოთ ის ჯაჭვები, რომლებითაც სსრკ ყოვლად არაჯანსაღ ეკონომიკაზე მიბმულნი ვართ. ყველა სტრატეგიული საქონლისთვის, რაც რუსეთიდან მოგვაქვს, ალტერნატიული წყარო უნდა მოინახოს და ჩვენგან გასატანი ყველა საქონლისათვის — ალტერნატიული ბაზარი. საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას საქართველოს მეურნეობის **მართვის** რაც შეიძლება ქმედითი მექანიზმები (რა თქმა უნდა, ისევ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე). ეს **რთული** ამოცანა, რაღა თქმა უნდა, პატრიოტთა ძალიან მაღალკვალიფიციური პროფესიული გუნდის აღზრდას გულისხმობს.

ეკონომიკის შემოტრიალების ეს ამოცანაც დანარჩენი სამის პარალელურია. მას საკუთარ, დანარჩენ მიმართულებებისაგან **დამოუკიდებელი** დინამიკა შეიძლება ჰქონდეს და მტრებისა და მოყვრების საკუთარი, სხვა მიმართულებებთან განსხვავებული კლასიფიკაცია.

რაც შეეხება კულტურის სფეროში ბრძოლას (ამ სიტყვის ფართო აზრით), ეს ჩვენთვის ამ ბოლო წლებშიც ტრადიციული ბრძოლაა და მასზე სიტყვას არ ვაგრძელებ.

# სსფ-ის II ყრილობა

სსფ-ის II ყრილობა

**28-29 ივლისს გაგრძელდა სსფ-ის II ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს საქართველოს სახალხო ფრონტის სათათბიროს წევრების ნახევარი, ნახევარი კი რეგიონულმა ორგანიზაციებმა წარადგინეს. ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია.**

## ყრილობის რეზოლუცია

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 20 ივნისის დადგენილებით მის კომისიას პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით ერთი თვის ვადაში უნდა მოემზადებინა და სახალხო განხილვისათვის გამოექვეყნებინა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონის პროექტი, რომელსაც საფუძვლად უნდა დასდებოდა მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემები. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ „დას"-ის (დემოკრატიული არჩევნები საქართველოსთვის), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, მრგვალი მაგიდის მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციების, საქართველოს კომუნისტური პარტიის, საქართველოს მწვანეთა პარტიის, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატი, პრეზიდიუმის აპარატის თანამშრომლები, ექსპერტი იურისტები. კომისიამ 12 ივლისისათვის მიიღო კანონის პროექტი, მიუხედავად ამისა, იგი დღემდე არაა გამოქვეყნებული ხელისუფლების ოფიციალური ორგანოების მიერ, რის გამოც ყოვლად შეუწყნარებლად ჭიანურდება მისი განხილვა. ამან გამოიწვია სესიის გვიან დანიშვნა (17 აგვისტოს), რაც აუცილებლად გამოიწვევს არჩევნების თარიღის გადაწევასაც.

საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედება ქმნის ვითარების დესტაბილიზაციის პირობებს საქართველოში, ამიტომ მოვითხოვთ სესიის ჩატარებას უფრო ადრე, არა უგვიანეს 7 აგვისტოსი.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობამ განიხილა ზემოთ დასახელებული კანონპროექტი, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოში" (29. 07. 90 წ.) და მოიწონა იგი. საქართველოს სახალხო ფრონტი მოუწოდებს საქართველოს საზოგადოებას, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებს, მხარი დაუჭირონ წარმოდგენილ კანონპროექტს.

29. 07. 90 წ.

## ყრილობის რეზოლუცია

**საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა გმობს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც უაღრესად გამწვავებულია პოლიტიკური ვითარება, ქართული მოსახლეობა არა მარტო მოკლებულია ელემენტარულ უფლებებს, იგი ტერორიზებულია. პრესაში იბეჭდება ყოვლად უმსგავსო ანტიქართული წერილები და პასკვილები. ტელევიზიით გადაიცემა ცილისმწამებლური, ქართველთა ღირსების შემლახავი გადაცემები. ადგილობრივი და რესპუბლიკის ხელისუფლების სრული უმოქმედობა აშკარა დამნაშავეთა მიმართ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს ყოველივე შეესაბამება კრემლის ფარულ განკარგულებებს. სსფ-ის II ყრილობა მოითხოვს საქართველოს მთავრობისაგან, მიმართოს გადამჭრელ ზომებს, რათა აღიკვეთოს ანტიქართული უკანონო ქმედება აფხაზეთში.**

29. 07. 90 წ.

## სსფ-ის II ყრილობის დელეგატთა მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევის მე-16 სესიისადმი

1989 წლის 25 აგვისტოს საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობამ მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი, საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შექმნის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნულ მიმართვაში გაანალიზებული იყო რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და გამოთქმული იყო რწმენა, რომ ამ სახეობის ჯარების დაკომპლექტება საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი წვევამდელებისაგან დადებითად გადაწყვეტდა რესპუბლიკისათვის არსებულ არა ერთ მწვავე პრობლემას.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ბატონმა შოთა გორგოძემ ტელევიზიით, პროგრამა „მოამბეში", გააკეთა განცხადება, რომ არსებობს შესაძლებლობა ასეთი ჯარების შექმნისა, სადაც გაწვეული იქნება 10 ათასი წვევამდელი. ბატონმა მინისტრმა ამ მიზნით სთხოვა წარმოება დაწესებულებებს მატერიალური დახმარება.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა მხარს უჭერს შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას. მიიჩნევს, რომ ასეთი ღონისძიება უაღრესად მნიშვნელოვანია რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების შემდგომი სტაბილიზაციისათვის და მოითხოვს უზენაესი საბჭოსაგან ამ საკითხთან დაკავშირებული საორგანიზაციო და მატერიალური პრობლემების განხილვას უზენაესი საბჭოს სესიაზე.

საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარისო შენაერთები უნდა ექვემდებარებოდნენ მხოლოდ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს მათი გაყვანა რესპუბლიკის ტერიტორიის გარეთ.

თავის მხრივ საქართველოს სახალხო ფრონტი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ამ სახეობის საჯარისო ფორმირებების შექმნასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში და ხელს შეუწყობს ამ მიზნით სპეციალური მატერიალური ფონდის შექმნას.

თბილისი, 29. 07. 90 წ.

## ისევ პრესის თავისუფლება

**გაზეთმა „7 დღე" დაბეჭდა პროტესტი („ამას ძარცვა ჰქვია") იმის თაობაზე, რომ „ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებ[illegible] შესახებ" კანონის მიხედვით 1991 წლის 1 იანვრიდან [illegible]რიოდული გამოცემების გავრცელებ[illegible] ექსპედირების, [illegible] და მიტანისათვის გამომცემლობას აძლევს დათმობას — — გამოცემათა ნომინალური ღირებულების 50,6 პროცენტს"...**

**ძვირფასო მკითხველო, ეს იმას ნიშნავს, რომ ახეთ ყაჩაღურ პირობებში კომპარტიის ბიუჯეტზე მყოფი გაზეთების გარდა სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და პარტიების გაზეთები, უბრალოდ, ხელმისაწვდომი ველარ გახდეს მკითხველისთვის. ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა. ვითომ სავალდებულოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ასეთი კანონი საქართველოსთვის, ჩვენ თვითონ ვერ შევქმნით ჩვენთვის საჭიროს, უკეთესს?**

# ინფორმაცია სსფ-ის რადიკალური კავშირის შესახებ

ა. წ. ივლისის მეორე ნახევარში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდ აუდიტორიაში გაიმართა სსფ-ის რადიკალური კავშირის დროებითი მთ. კომიტეტის რამდენიმე გაფართოებული სხდომა, რომლებსაც რადიკალური კავშირის წევრების გარდა ესწრებოდა უნივერსიტეტის კავშირის მხარდამჭერი საზოგადოება.

სხდომებზე, როგორც წესი, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა კავშირის წესდების პროექტის საკამათო პუნქტების განხილვას. ა. წ. 24 ივლისს კავშირის ბოლო სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული წესდების პროექტის დაზუსტებული ვარიანტი, რომელიც დაეგზავნა კავშირის რეგიონულ კომიტეტებს. კავშირის სხდომაზე შეიქმნა სამი მუშა-ჯგუფი — საორგანიზაციო, საარჩევნო, პრეს-ჯგუფი. მათ აგრეთვე დაევალათ კავშირის კონფერენციის მოწვევისათვის აუცილებელი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

სხდომებზე მიღებულ იქნა რამდენიმე რეზოლუცია: „ხევსურეთში მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის შესახებ", „სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაციის შესახებ", „პრაჰის კონფერენციის რეზოლუცია №24-ის შესახებ".

სსფ-ის რადიკალური კავშირის კონფერენციის მოწვევის თარიღი უახლოეს მომავალში დადგინდება და გამოცხადდება.

### სსფ-ის რადიკალური კავშირის წესდების პრეამბულა

სსფ-ის რადიკალური კავშირი არის ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომლისთვისაც პრინციპულად მიუღებელია მარქსისტული და ლენინური იდეოლოგია, წარმოადგენს არსებული ხელისუფლების ოპოზიციას, პარლამენტური გზით იბრძვის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, დემოკრატიული, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებზე დამყარებული საზოგადოების შექმნისათვის საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ, ამასთანავე ეროვნულ ნიადაგზე სახელმწიფო ინსტიტუტების აღმოცენებისა და დამკვიდრებისათვის.

### სსფ-ის რადიკალური კავშირის დეკლარაცია

რადიკალური კავშირი არის საქართველოს სახალხო ფრონტის წევრთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის შექმნა განაპირობა ფრონტის წესდების რამოდენიმე მუხლის პოლიტიკურმა შეფასებამ.

რადიკალურ კავშირს მიაჩნია, რომ ამჟამად შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით სახალხო ფრონტი უნდა მოქმედებდეს როგორც არსებული ხელისუფლების ოპოზიცია, რომელიც იბრძვის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

რადიკალურ კავშირს მიაჩნია, რომ სახალხო ფრონტის რიგებში არ შეიძლება იყვნენ ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის (პარტიის) წევრები, რომლის ცენტრი მდებარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომლის პროგრამა ეწინააღმდეგება ფრონტის პრინციპებს და რომელიც არ გამოდის ისეთი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს შეიყვანს ახალი ფედერაციული ან კონფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

რადიკალური კავშირი თავის მოვალეობად მიიჩნევს მონაწილეობდეს ისეთი პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელსაც გააჩნია რეალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რის საშუალებითაც შეიძლება საქართველოს უზენაესი საბჭო (ფაქტობრივად სსრკ-ში ინკორპორირებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის თვითმმართველობის ორგანოს) ა. წ. 28 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების შედეგად დაკომპლექტდეს ისეთი დეპუტატებით, რომლებიც დააკანონებენ ფაქტობრივად არსებულ მდგომარეობას და შექმნიან დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე შეუფერხებელი მოძრაობის სამართლებრივ საფუძვლებსა და გარანტიებს.

სსფ-ის რადიკალურ კავშირს მიაჩნია, რომ დამოუკიდებელ საქართველოში დაუშვებელია როგორც მისი მმართველი თუ სამართლებრივი ორგანოების, ასევე ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციების (პარტიების) მხრიდან იმ პირთა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რომლებიც ნებით თუ უნებლიედ ჩაბმული იყვნენ ტოტალიტარული სახელმწიფოებრივი თუ პარტიული სტრუქტურების საქმიანობაში.

სსფ-ის რადიკალური კავშირი მთლიანად აღიარებს ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ნორმებს და მოქმედებს მათ შესაბამისად.

რადიკალური კავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და პარტიებს მოუწოდებს თანამშრომლობისაკენ ჩვენი სამშობლოს უზენაესი ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეში.

რადიკალური კავშირის ყოველი წევრი მოქმედებს მხოლოდ საქართველოს, მისი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე.

ღმერთო, უშველე საქართველოს!

### რეზოლუცია „ხევსურეთში სათემო საბჭოების შექმნის შესახებ"

რადიკალური კავშირი მხარს უჭერს ხევსურეთში მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის პროგრამას და სათემო საბჭოების ჩამოყალიბების პროცესს.

ყოველი თემ-სოფელი უნდა განაგებდეს და იცავდეს მის მფლობელობაში მყოფ მიწას, რომელიც მისი ყოველი წევრის საკუთრება იქნება. სათემო საბჭო ირჩევა ხალხის მიერ და ახორციელებს მის ნებას.

რადიკალურ კავშირს მიაჩნია, რომ ისტორიულად ნაცადი სამეურნეო სტრუქტურების აღდგენა ხსნის გზაა არა მხოლოდ ხევსურეთისათვის, არამედ საქართველოს მთიანეთისათვის საერთოდ.

აქედან გამომდინარე, რადიკალური კავშირი მიმართავს საქართველოს მთავრობას, დაამტკიცოს ხევსურეთში მიწის სათემო მფლობელობაში გადაცემის წესი და რეგისტრაციაში გაატაროს (სცნოს) სათემო საბჭოები, რომლებიც უკვე მოქმედებენ საქართველოში.

### რეზოლუცია საერთაშორისო ორგანიზაცია „დემოკრატია და დამოუკიდებლობის" რეზოლუცია №24-ის შესახებ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების დამკვიდრება, რაც არაერთხელ იქნა განცხადებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმთავრესი პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის შეგნებულად დამახინჯებული წარმოსახვა ღრმად გამიზნული პოლიტიკაა, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა საქართველოს, ქართველი ერის, მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დისკრედიტაცია მსოფლიო საზოგადოების თვალში.

სრულიად გაუმართლებელია ის, რომ ამ პოლიტიკაში ჩაბმული აღმოჩნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, მისი თავმჯდომარის სახით, რომლის ძალისხმევითაც საერთაშორისო ორგანიზაციის „დემოკრატია და დამოუკიდებლობის" პრაჰის კონფერენციაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია №24. ამ რეზოლუციაში საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოკრიზისების კერების შექმნა გადაბრალებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე და ამ მოძრაობის სულისჩამდგმელ ბატონ ზვიად გამსახურდიაზე. ეს, ერთის მხრივ, პასუხისმგებლობას უხსნის ნამდვილ დამნაშავეს და მეორეს მხრივ, ემსახურება საერთაშორისო სარბიელზე ყალბი ავტორიტეტის შექმნას ქართველი ერის, საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

რეზოლუცია №24 არ არის განმხოლოებული მოვლენა. იგი შემადგენელი ნაწილია იმ პროვოკაციული პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია საქართველოში მრავალპარტიული არჩევნების წინ პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციისაკენ.

სსფ-ის რადიკალურ კავშირს მიაჩნია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება უნდა ხდებოდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი სპექტრის რეალური შესწავლის საფუძველზე და არა ცალმხრივ, მიკერძოებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

აქედან გამომდინარე, სსფ-ის რადიკალური კავშირი გმობს საერთაშორისო ორგანიზაციის „დემოკრატია და დამოუკიდებლობა" პრაჰის კონფერენციის რეზოლუცია №24-ს და მისი მიღების ინიციატორებს.

**წაკითხულია 26 ივლისის მიტინგზე მთავრობის სახლის წინ.**

**26 ივლისი, 1990 წელი**

**რეზოლუციის ტექსტი გაეგზავნა საერთაშორისო ორგანიზაცია „დემოკრატია და დამოუკიდებლობის" პრაჰის კონფერენციის რეზოლუცია №24-ის ყველა ხელისმომწერს.**

# „ლიბერალთა“ გადამწყვეტი შეტევა

## ანუ

## რატომ ებრძვიან ზვიად გამსახურდიას

**1990 წლის** მაისში, სოხუმის ცნობილი ამბების წლისთავის წინ, მოსკოვის ჟურნალ „ოქტიაბრში“, უკვე ვინ იცის მერამდენედ, გამოქვეყნდა აკად. ა. დ. სახაროვის „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია“. ეს არ იქნებოდა ჩვენთვის მოულოდნელი, რომ არა წინათქმა და ბოლოსიტყვაობა.

ანონიმური წინათქმა გვეუბნება, რომ „დიდად მნიშვნელოვანია სახაროვის პროექტის აღქმა არა როგორც მხოლოდ სიმბოლოსი, ძეგლისა შესანიშნავი ადამიანის საფლავზე, კიდევ ერთხელ მწუხარებითა და დუმილით ქედის მოხრის საბაბის, უპირველესად საჭიროა აკად. ა. დ. სახაროვის ტექსტზე პრაქტიკული მუშაობის გაშლა, მისი კომენტირება, გააზრება, დისკუსია. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახაროვისეულმა კონსტიტუციამ მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიისათვის გაშლილ ბრძოლაში და იმ შემთხვევაში, თუ **რუსეთის** მომავალი სასიკეთო იქნება, იქცეს ამ მომავლის ნაწილად, მისი ძირითადი კანონის პირველ მონახაზად.

ვიწვევთ მკითხველებს, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ახალი საბჭოთა კონსტიტუციისათვის სახაროვის პროექტის შინაარსისა და რეალური მნიშვნელობის შესახებ, რათა შემდგომში გამოვაქვეყნოთ მკითხველთა მხრიდან ამის თაობაზე შემოსული წერილების მიმოხილვა“ (გვ. 145, ხაზგასმა ჩვენია, გ. მ.).

**რუსეთისათვის** — ამ ერთი შეხედვით უწყინარ, თითქოს სასიკეთო შესავალსა და საკუთრივ კონსტიტუციის ტექსტს მოსდევს ჟურნალის საზოგადოებრივი საბჭოს წევრის ლეონიდ ბატკინის კომენტარი, სადაც ვხვდებით მოსაზრებებს, რომლებიც უშუალოდ საქართველოს და მისი მოსახლეობის, ანუ ჩვენს მომავალსაც, ეხება.

„როგორიღაა პროექტის მეოთხე გაშლილი იდეა?

უპირველეს ყოვლისა, „ევროპისა და აზიის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შემადგენელ თავდაპირველ სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, ეროვნული ავტონომიური ოლქები და ეროვნული ოკრუგები“ (მუხლი 25).

სტალინური დაყოფით სსრკ-ში არსებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა ოთხი კატეგორიაა, რომლებიც ვერტიკალურად ემორჩილებიან მათგან უმაღლესს — მოკავშირე რესპუბლიკას ისევე, როგორც მოკავშირე რესპუბლიკები, თავის მხრივ, ემორჩილებიან ზეეროვნულ ცენტრს, ეს არათანასწორუფლებიანი მოწყობა ისპობა და ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას თანასწორი რესპუბლიკის სტატუსით აწერს ხელს სსრკ-ს ყველა ყოფილი ნაწილი განურჩევლად სიდიდისა, საგარეო საზღვრის არსებობისა, მოსახლეობის რაოდენობისა“ (გვ. 159).

ე. ი. ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას „სუვერენული“ რესპუბლიკის სახით ხელი უნდა მოაწერონ „საქართველოს სსრ“ ისეთმა „ყოფილმა“ ნაწილებმა, როგორებიც არიან აჭარა, აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი — ანუ უნდა მოხდეს „მცირე იმპერიის“ დანაწევრება.

ეს რომ უმტკივნეულოდ არ ჩაივლის, კარგად უწყის ლ. ბატკინმა და სწორედ ამიტომ უმატებს შემდეგს: „არ შემიძლია დავდუმდე მხოლოდ იმაზე, რომ დღევანდელი ძალადობა და კონფლიქტები, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში, მრავალთა აზრით განუხორციელებლად აქცევენ სახაროვის პროექტს, რომელიც თითქოს გაანგარიშებულია მშვიდ, ცივილიზებულ, რაციონალურ ევოლუციაზე“ (ანუ მშვიდად, ცივილიზებულად, რაციონალურად უნდა შევეგუოთ ქართველნი ბოლშევიკური ძალადობის გაღრმავებას, ანუ არ კმარა, თურმე, ტაოკლარჯეთის, საინგილოს თუ სხვა ტერიტორიების დაკარგვა და ისედაც დანაწევრებული ქართველი ერი, ვიმეორებთ, „მშვიდად, ცივილიზებულად, რაციონალურად“ უნდა დათანხმდეს საკუთარი ისტორიული სამკვიდრებლის და ეროვნული სხეულის დანაწილებას გ. მ.). „ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით ანდრეი დიმიტრის ძესთან იმაზე, — აგრძელებს ლ. ბატკინი, — თუ რად შეიძლება იქცეს სინამდვილეში ახლა, საუბარია მთიან ყარაბაღზე, აფხაზეთზე, სამხრეთ ოსეთზე და ა. შ., ამ კონსტიტუციის ამოქმედების მცდელობა... ანდრეი დიმიტრის ძე მძიმედ ჩაფიქრდებოდა ხოლმე, საუბრობდა ვითარების ჩიხურ ხასიათზე, როდესაც პრაქტიკულად არ არსებობს და ჯერჯერობით არც შეიძლება არსებობდეს უნაკლო გადაწყვეტილება. მაგრამ სწორედ ასეთ „უიმედო“ მდგომარეობებში, როდესაც ვრწმუნდებით, რომ ყოველგვარი წინადადება და გეგმა იმსხვრევა პოლიტიკურ რეალობასთან შეჯახებისას, რომ არ გადის გონივრული კომპრომისი, ანდრეი დიმიტრის ძეს (სწორედ ამიტომ) მიაჩნდა ყველაზე პრაქტიკულად პრინციპის მიდევნება... სახაროვის პროექტი მეტისმეტად კარგია ჩვენი ქვეყნისთვის? იგი ვერ განხორციელდება სადღაც და რატომღაც? დაიღვრება სისხლი? არ ქნას ღმერთმა. მაგრამ სცადეთ რაიმე უფრო რეალისტურის შემოთავაზება, თან ისეთისა, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვიოს ახალი სისხლისღვრა. არ არსებობს ისეთი გადაწყვეტა, ყველას რომ აწყობდეს“ (გვ. 160).

შარშანდელი მოვლენების წლისთავზე სეპარატისტების წამქეზებელი ეს პროვოკაციული მოწოდება უდავოდ გამოიწვევს კავკასიაში დაძაბულობის ესკალაციას. მაგრამ იქნებ ჩვენ მაინც კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ, თუ რასთან გვაქვს საქმე. აქამდე ხომ ჩვენს ტრადიციულ მოწინააღმდეგედ ბოლშევიკური შეფერილობის სხვადასხვა ეროვნული ძალა გვევლინებოდა. ახლა კი ბოლშევიკებმა წითელი ფერი, ძნელად, მაგრამ მაინც გადასდით თანდათანობით და ისინი უკვე ლიბერალებისა და დემოკრატების ტოგით მოსილნი წარმოგვიდგებიან. მათი ეროვნული პოლიტიკა კი ძველებურივე რჩება.

გავიხსენოთ: რუსი კოლონიზატორების შემდეგ ისტორიული საქართველოს ტერიტორიის და მასზე მოსახლე ტრადიციული ქართული, ასევე არაქართული თემების რელიგიური და სხვა ნიშნით დაყოფის, მათი ერთიან, დიდ რუსულენოვან სახელმწიფოში ცალცალკე, ერთმანეთისაგან „დამოუკიდებლად“ შეყვანის იდეა დაამუშავა ბოლშევიზმის ეროვნული პოლიტიკის შემოქმედმა, დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთმა დამქცევარმა ი. ბ. სტალინმა.

სახაროვის კონსტიტუცია ლიბერალური სტალინიზმის გამოვლინებაა, მასში პარადოქსულადაა შერწყმული პიროვნების უფლების დაცვის სურვილიც და „პალეობოლშევიკთა“ ველური, აგრესიული დამოკიდებულება მათ მიერვე 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით აღიარებული საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი. სწორედ ამიტომ უწევს ხელს ბატკინი აფხაზეთის ექსტრემისტებს, „აფხაზეც“ ოზგანს, მიდით, დაჰკარით ქართველებს, ამ კონსტიტუციაზე უკეთესი ხომ მაინც არაფერი შექმნილა ქვეყანაზეო. სწორედ ამიტომ ვერ ზეიმობს სამართალი საქართველოში.

ესეც არ იკმარა მოსკოვმა: 18 ივლისის გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა სკკპ ცკ-სთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის (ИМЛ) სექტორის გამგის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ე. ვიტენბერგის და ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ჭარნიკოვის დიალოგი. ვიტენბერგის აზრით **„ჩვენი უბედურება ისაა, რომ არა გვაქვს სხვადასხვა ხალხთა ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებაში დამაინტერესებელი მექანიზმები.** ისინი მხოლოდ ახლა იქმნება. ჭარნიკოვმა წამოაყენა მოსაზრება, რომ გაერთიანდეს საბჭოთა და ამერიკელ (და შესაძლოა სხვა ქვეყნების) მეცნიერთა ძალები, რათა შეისწავლონ კაცობრიობის ეროვნული ცხოვრება, მისი კანონები და განვითარების ტენდენციები, კონფლიქტოლოგია და ა. შ.“.

ჭარნიკოვის აზრით, გაერთიანება შეიძლება მოხდეს რომის კლუბის საფუძველზე (სტატია „ეროვნული საკითხი გლობალური თემაა“ გვ. 4).

ე. ი. ვიტენბერგმა და ჭარნიკოვმა რომის კლუბს დაუსახეს ერთიანი საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი გზით შენარჩუნების ამოცანა.

როგორც სჩანს, იგივე იდეის განხორციელების გზების ძიების მიზნით პარიზში გამომავალი ჟურნალ „კონტინენტის“ რედაქტორი ვლადიმერ მაქსიმოვი შემოდგომაზე იტალიაში იწვევს საერთაშორისო შეხვედრას. ამ შეხვედრის ინიციატორებიც ცნობილია: ჟურნალი „კონტინენტი“, „კოლინის კლუბი“, გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, ჟურნალი „იუნოსტი“, უნივერსიტეტი „ვაშინგტონი-პარიზი-მოსკოვი“, მათ შეუერთდნენ იტალიის სოციალისტური პარტიის ჟურნალი „მონტო-ოპერაიო“ და იტალიის ჰელსინკის კომიტეტი.

რომის კლუბის იდეა ცნობილია. მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ა. პეჩეიმ დღევანდელობა განსაზღვრა როგორც ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამლევის, ზეეროვნული ერთიანი მსოფლიოს ქმნადობის ხანა (იხ. А. Печчеи, „Человеческие кочества, М.):

„მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მსოფლიოში იყო დაახლოებით სამოცი სუვერენული სახელმწიფო, ზოგიერთი მათგანი ვრცელი კოლონიური სამფლობელოებით. ახლა მათი რაოდენობა 150-ს შეადგენს, 144 ქვეყანა კი შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. და ყველა მათგანი: დიდი და პატარა, ძველი და ახალი, ერთნი — საკმარისად მონოლითურნი და ერთგვაროვანნი, მეორენი — სტრუქტურით ჰეტეროგენულნი, ერთნი, რომელნიც წარმოადგენენ რაციონალურ ერთიან ორგანიზმს, მეორენი, რომელნიც ატარებენ მათი არსებობის გამამართლებელი სხვადასხვა ხასიათის ისტორიული, გეოგრაფიული და კულტურული გარემოებების ნაბეჭდებს, ყოველი მათგანი ულრესად ეგოისტურია და თავგამოდებით იცავს სუვერენიტეტის საკუთარ პრეროგატივას... ყოველი ქვეყანა მაშინაც კი, როდესაც გეგმავს სხვათა ტერიტორიის დაპყრობას, აცხადებს საკუთარი საზღვრების ურყეობასა და ხელშეუხებლობას.

თუ ვისაუბრებთ საქმის პრაქტიკულ მხარეზე, შედარებით სუსტი და მცირე ქვეყნების უმრავლესობისათვის სუვერენიტეტი მნიშვნელოვანწილად ნომინალურად რჩება, თუ არ ვილაპარაკებთ ცოტა ხნის წინ შემოღებული **შეზღუდული სუვერენიტეტის** კონცეფციის შესახებ. არსებითად სახელმწიფოებისა და სხვა დიდი ქვეყნების, ძლიერი კორპორაციების წინაშეც კი მცირე ქვეყანათა მდგომარეობა დღეს საკმარისად უიმედო ჩანს, მაგრამ ისინიც კი, ვინც საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რას ნიშნავს იყო სუსტი ძლიერთა წინაშე, ტოლს არ უდებენ მათ უხეშობაში, უარყოფენ რა ისტორიის კაპრიზის გამო მათ ტერიტორიაზე აღმოჩენილი ეთნიკური და კულტურული უმცირესობების უფლებებს თვითგამორკვევაზე და დამოუკიდებლობაზე და მაინც, მთელი თავისი ეთიკური, პოლიტიკური და ფუნქციონალური მიუღებლობისა და უგუნურობის მიუხედავად, ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტი რჩება ახლანდელი მსოფლიო წყობის ქვაკუთხედად...

ახლა ფართოდ ვრცელდება რწმენა ტოინბის სიმართლეში, ვინც აღნიშნავდა, რომ „ეროვნული სახელმწიფოს კულტის ძალა სრულებითაც არ მოწმობს იმას, რომ ეროვნული სუვერენიტეტი ნამდვილად წარმოადგენს ატომური საუკუნის კაცობრიობის პოლიტიკური ორგანიზაციის დამაკმაყოფილებელ ფორმას. ჭეშმარიტება სწორედაც რომ საპირისპიროშია... ჩვენს ეპოქაში ეროვნული სუვერენიტეტი არსებითად მასობრივი თვითმკვლელობის ტოლფასია... ახლა თანდათანობით მწიფდება და რეალურ სახეს იძენს ეროვნული სახელმწიფოს სუვერენობის პრინციპზე უარის თქმის იდეა“ (А. Печчеи, Человеческие кочества, М, 1980. გვ. 225-229).

ჩვენს ზურგს უკან, აშკარად, დიდ გარიგებას აქვს ადგილი. თუ ადრე მსოფლიო რევოლუციის ფანატიკური იდეით შეპყრობილმა რუსეთმა გასთელა ქართველი ერი და საქართველო ყველა თავის მოკავშირეს, უპირატესად თურქულ სამყაროს გაუნაწილა, რის შედეგადაც საქართველოს სსრ-ს გარეთ თავის მიწაზე მკვიდრ ქართველებს ყოველგვარი ეროვნული აქვთ წართმეული და განიცდიან ამ ქვეყნის ძლიერთა ძალადობას, ახლა ცივილიზებული მსოფლიოს თანასწორ წევრად გახდომის სურვილით ატაცებული, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან გაერთიანებას მოწყურებული, ქართველი ხალხის, საქართველოს მორიგ დაყოფას ამზადებს და ამისთვის არც ახალი ძალადობისაკენ მოწოდებას ერიდება.

მიზნის განსახორციელებლად მოწინააღმდეგემ საქართველოს ეროვნული ძალების დასუსტება უნდა შეძლოს, უნდა შეძლოს მსოფლიოს თვალში მათთვის სახელის გატეხა, მოძალადედ, ტერორისტულად გამოცხადება. ამ მიზნით კი, სამწუხაროდ, სწორედაც რომ „დემოკრატიული“ საკავშირო პრესა და ცენტრალური ტელევიზიაა ამუშავებული.

საუცხოო მაგალითად გამოდგება თუნდაც სსრკ გაერთიანებული კოოპერატივების კავშირის გაზეთი „კომერსანტი“. 9-16 ივლისის ნომერი (№27) თითქოს საქართველოს განსაქიქებლადაა გამოსული. მე-10 გვ-ზე ანონიმური წერილი „კვირა: მოვლენების ქრონიკა“ ბოლოვდება წინადადებით: „და მხოლოდ საქართველოში, აფხაზურ საზღვართან ისვრიან“, მე-14 გვერდზე ვლადიმერ მიროშნიკის ვრცელ წერილში „ფოთი: ხელები მაღლა, მოქალაქე უფროსო“, სადაც ხატოვნად არის აღწერილი ფოთის ინციდენტი, რომლის შედეგადაც „მთლიანად დაწვარია შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების, პროკურატურისა და გამოსაძიებლის სამსართულიანი შენობები, გატაცებულია მაკაროვის 50 პისტოლეტი ტყვიების კომპლექტებითურთ“, გადმოცემულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანონიმად დარჩენილი წარმომადგენლის ცნობა, რომ რბევა მოაწყო „გარკვეულმა ექსტრემისტულმა ჯგუფმა იარაღის გასატაცებლად. მიროშნიკი ასკვნის: „აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ ფოთი აფხაზეთთან ახლოს მდებარეობს (ალბათ, ვლადივოსტოკთან შედარებით, გ. მ.). ამ თვის შუა რიცხვებში გადის ერთი წელი ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ სოხუმში მომხდარი გააფთრებული ეროვნებათაშორის შეტაკებებიდან, რესპუბლიკაში შიშობენ, რომ ვიღაცა მოისურვებს ამ თარიღის აღნიშვნას და გატაცებულმა იარაღმა შეიძლება გაისროლოს. თუმცა შესაძლოა არეულობის მონაწილენი იარაღის ნაკლებობას არ განიცდიან. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით დამნაშავეთა შორის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სხვადასხვა ორგანოდან ცეცხლმსროლელი იარაღის შარშან გატაცებული 4000 ერთეულია. მათ შორის 2 ტყვიამფრქვევი, ასიოდე ავტომატი, ერთი-ორი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება“.

საქართველოსა და მოსკოვის გარკვეული წრეები ერთობლივად ცდილობენ მსოფლიოში გაუტეხონ სახელი საქართველოს ეროვნულ მოძრაობას (რისი საუკეთესო მაგალითიცაა ბ-ნი მ. მამარდაშვილის ინტერვიუ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში და ვინმე ფანცულაიას წერილი გაზეთ „ვეტერანში“, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გაზეთ „ივერიისა“ თუ გაზეთ „ქართული ფილმის“ საქმიანობა). „საქართველოს“ კომპარტიის რჩეული წარმომადგენლებიც დუმან. სხვა არც შეუძლიათ, ვინაიდან სკკპ XXVIII ყრილობამ მათ ხუთი წლით მაინც წაართვა დამოუკიდებლობა. სკკპ ახალი წესდებით ხომ „სკკპ ცკ-ს პოლიტბიუროს პრინციპული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებს, განიხილება მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების მონაწილეობით. იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტია არ დაეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, აქვს უფლება მის შეუსრულებლად მოითხოვოს საკამათო საკითხების განხილვა სკკპ ცკ-ს პლენუმზე ან ცკ-ს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე“ („პრავდა“, №200, 19 ივლისი, 1990 წ. გვ. 2).

ე. ი. „საქართველოს“ კომპარტია დამოუკიდებლად ნაბიჯს ვერ გადადგამს. იგი კვლავ სკკპ უმაღლეს ორგანოებს ექვემდებარება, ხოლო ამავე ყრილობაზევე მიღებულ პროგრამაში „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“ წერია, რომ „პარტია ამოდის ერთა თვითგამორკვევის უფლების ცნობიდან, **მაგრამ არ ურევს სსრკ-დან გამოსვლის უფლებას ამ გამოსვლის მიზანშეწონილობასთან.** იგი თვლის, რომ — **მნიშვნელოვანია სსრკ-ს, როგორც დინამიური მრავალეროვანი სახელმწიფოს შენარჩუნება“** (გაზ. „პრავდა“, №196, 15 ივლისი, 1990 წ. გვ. 3). ხოლო ამავე ყრილობის რეზოლუციაში „დემოკრატიული ეროვნული პოლიტიკა — გზა ნებაყოფლობითი კავშირისაკენ, მშვიდობისა და თანხმობისაკენ ხალხთა შორის“ ვკითხულობთ: „უკანასკნელ დროს მიღებულმა საერთო საკავშირო და რესპუბლიკურმა აქტებმა შექმნეს ფუნდამენტალური პრობლემის, **ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების** მომზადებისა და დადებისათვის აუცილებელი წინაპირობა. ყრილობა თვლის, რომ მას საფუძვლად დაედოს სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის იდეა... ამ პროცესის თანასწორუფლებიან მონაწილეებად უნდა იქცნენ ყველა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ავტონომიურთა ჩათვლით“ (იქვე. გვ. 4. ხაზგასმა ჩვენია გ. მ.). თუ დავუბრუნდებით პროგრამის იმ თავს, რომელსაც ჰქვია „კრიზისიდან თავის დაღწევის [illegible] ზომები“, ამოვიკითხავთ: „პირველი. მიმდინარე წელს რესპუბლიკათა, როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირის შესახებ ახალი ხელშეკრულების დამუშავება“... (გვ. 1). „სვერხდერჟავას“ ხატი, რომელიც სკკპ პროექტიდან „სუვერენულ“ სახელმწიფოთაგან შემდგარი სახელმწიფოს შექმნაზე გამოკრთის, ფარდას ხდის ახალი სსრკ-ს „მამა-დამაარსებელთა“ გეგმებს.

სხვა ამბავია, თუ რატომ იქცნენ თავს „საქართველოს“ კომპარტიის წარმომადგენლები. უნდა ვიფიქროთ, რომ არჩევნებისათვის ისინი უკვე შეუდგნენ „ქულების შეგროვებას“.

ერთის მხრივ უძლური, უცხო ქვეყნის პარტიის დაქვემდებარებული „საქართველოს კომპარტია“, მეორეს მხრივ უცნობ ჯგუფთა და ცნობილ პროპაგანდისტთა მიერ მსოფლიოს თვალში სანახევროდ მაინც დისკრედიტირებული ეროვნული მოძრაობა.

ჩვენ გვსურს, მხოლოდ 1921 წელს გათელილი სახელმწიფოებრიობის, თავისუფლების, სამართლიანობის აღდგენა, მსოფლიოს თავისუფალ ერთა ოჯახში დაბრუნება. პალესტინელ არაბებს, სამხრეთ აფრიკის ზანგ მოსახლეობას, გერმანელებს აქვთ ამის უფლება, ქართველებს?

შევძლებთ გავაგებინოთ მსოფლიოს (?!) რომ გვინდა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და დემოკრატია, თუ სსრკ-ს ძალადობით შენარჩუნების მომხრე და მათი, ფაქტობრივად, მოკავშირე ძალები გადაგველობებიან წინ, თურქების ხელით დაღვრიან ჩვენს სისხლს სამხრეთ საქართველოში, „აფხაზეცების“ ხელით — დასავლეთ საქართველოში, უწმინდურ და თავგზააბნეულ ოსთა ხელით კი — ქართლში გადაგვკიდებენ ქართველთა ერთ ნაწილსაც კი. დრო გვიჩვენებს, მანამდე კი მივმართოთ ჟურნალ „ოქტიაბრის“ რედაქციას, რომ საქართველოს ბედის გადაწყვეტის უფლება ქართველი ერის გარდა არავის არა აქვს, არც სახაროვს, არც ბატკინს, არც სხვა უცხო თუ გაუცხოებულ ადამიანს, ვისაც არ ესმის, რომ ბოროტების ძლევა ჩვენში მხოლოდ 1921 წლის 25 თებერვლის შედეგების აღმოფხვრით, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენით შეიძლება.

შეტევაზეა გადმოსული ჭეშმარიტი ნეო-ბოლშევიზმი, ლიბერალური ნეო-სტალინიზმი!

არ უნდა იყოს შემთხვევითი არც ის, რომ თავისებური სტალინისტების გმობის ობიექტად იქცა ბ-ნი ზვიად გამსახურდია. ამაშიც სახაროვის წრე აქტიურობს. გავიხსენოთ სერგეი კოვალიოვის ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება ჰელსინკის კავშირის მიმართ და ჩავიხედოთ 22 ივლისის „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში, სადაც სახაროვის მეგობარი, ახლა დასავლეთში მცხოვრები ნადისიდენტარი და ნაქართველარი ვ. ჭალიძე (რომელსაც უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის ზოგადად დემოკრატიული მოძრაობის წინაშე) შოვინისტად აცხადებს საქართველოში სამართალდაცვითი მოძრაობის ორგანიზატორს (გვ. 5) და ადარებს ანტისემიტ შაფარევიჩს. სამწუხაროდ, მათ მიერ განსახიერებულ ანტიქართულ ძალას ქართველებს შორისაც გამოუჩნდა საყრდენი. დასავლეთს ჩვენზე წარმოდგენა ხომ აქედან მიწოდებული მასალებით ექმნება.

კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ საქართველოს დასაქცევად წამომართული „ლიბერალიზმი“ ქართველის შეგნებაში ვერ დაამარცხებს სამართლიანობის წყურვილს, ის ძალები, რომლებმაც გაყვეს საქართველო და ქართველები, რომლებიც თავის ძირძველ მიწაზე მოსახლე ქართველებს დღესაც უარს ეუბნებიან ელემენტარულ ადამიანურ ეროვნულ უფლებების განხორციელებაზე, ადრე თუ გვიან მხილებული იქნებიან. მხილებული იქნება ციხის შიგნიდან გამტეხიც. ბატკინი ოზგანს მოუწოდებს სისხლისღვრის ფასადაც დაამყაროს „ეთნოკრატია“ აფხაზეთში, ბაქოდან ქართველებს არ აძლევენ საქართველოში ბინის გადმოცვლის უფლებას, აზერბაიჯანში მოსახლე მაჰმადიან ქართველებს შიშით ვერ აღუდგენიათ თავიანთი ეროვნება და ნამდვილი გვარსახელები, იგივე აზერბაიჯანელები, რუსები თუ სხვა ერთა ვიღაცის მიერ გაბრიყვებული, თუმცა შესაძლოა კეთილშობილი წარმომადგენლები კი გამსახურდიას სახელის თრევით „იცავენ“ არაქართველებს საქართველოში.

საქართველოს სრ მოსახლეობა არჩევანის წინაშე დგას: დაუჯეროს სახაროვს, ბატკინს, ჭალიძეს და სხვათ, სისხლის ფასად „განთავისუფლის“ დამპყრობელ ქართველთაგან აფხაზეთი, სამაჩაბლო-საერისთავო, აჭარა, ბორჩალო და ჯავახეთი თუ მხარი დაუჭიროს ქართულ ეროვნულ მოძრაობას თავის სამართლიან ბრძოლაში.

(დასასრული მე-8 გვ.)

# სიტყვა, წარმოთქმული ავთანდილ იმნაძის მიერ

# სსფ-ის მეორე ყრილობაზე

**ქალბატონებო და ბატონებო!**

ბატონმა ნოდარ ნათაძემ ვრცლად მოგახსენათ ფრონტის მუშაობის შესახებ, მაგრამ მე მინდა (და ვალდებულად ვთვლი თავს), თანამოხსენების სახით ანგარიში ჩავაბარო ყრილობას ერთი წლის გაწეული მუშაობის და სახალხო ფრონტის პოზიციების შესახებ ოდნავ სხვა კუთხიდან, ვიდრე ეს ბატონმა ნოდარმა გააკეთა.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო ის, რომ საქართველოს სახალხო ფრონტს მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში მოუწია მუშაობა. სსფ-ს დაფუძნების დღეს, 25 ივნისს, „დაემთხვა" საქართველოში ე. წ. „ეთნოკონფლიქტების", სინამდვილეში კი მოსკოვის იმპერიული ძალების მიერ პროვოცირებული, საქართველოში მცხოვრები არაქართველების ქართველებზე თავდასხმების დასაწყისი. ზუსტად ერთი წელი და 2 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ამ დარბაზში მსხდომი ყრილობის მონაწილენი კინაღამ არ წამოეგნენ პროვოკაციას და პირდაპირ ყრილობის დარბაზიდან არ წავიდნენ მარნეულის რაიონში თვისტომთა დასაცავად, მაგრამ ღმერთმა დაგვიფარა და გონს მოვეგეთ. შემდგომში ამ კონფლიქტის რეგულირებაში ლომის წილი სწორედ საქართველოს სახალხო ფრონტს უძევს, მე ეს მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, თუმცა არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების პრინციპული დ ორგანიზებული მოქმედება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ იმავე ძალებს, რატომღაც, გაუჭირდათ ასეთივე მოქმედება შემდგომში აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, მაგრამ ამაზე შემდეგ.

პირველივე დღეებიდან, როგორც მოგახსენეთ, საქრთველოს სახალხო ფრონტს ურთულეს პირობებში მოუწია მუშაობა. ხალხმა, საზოგადოებამ დაინახა ეს, იწამა სახალხო ფრონტის და რაღაც მხსნელადაც კი დაისახა იგი. ამით აიხსნება ის განუსაზღვრელი ავტორიტეტი, ის პოპულარობა, რომელიც საქართველოს სახალხო ფრონტმა მოიპოვა პირველი 6-7 თვის მანძილზე. ამან საგონებელში ჩააგდო ოფიციოზი და გეგმაზომიერად შეუდგა სახალხო ფრონტის მუშაობაში დისონანსის შეტანას. ჯერ კიდევ თავიდან, დაფუძნებამდე, ოფიციოზს მართლაც სურდა, რომ სსფ საქ. კპ ცკ კონტროლისათვის დაექვემდებარებინა, მაგრამ დაფუძნების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ ეს ვერ მოხერხდა, დაიწყეს რეგიონებში რაიკომების გარშემო და მისი კონტროლის ქვეშ სახალხო ფრონტების რეგიონული ორგანიზაციების შექმნა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევებში წარმატებასაც კი მიაღწიეს, მაგრამ დროთა განმავლობაში საქმე გამოსწორდა და დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახალხო ფრონტში თითქმის არ არის რეგიონული ორგანიზაცია, რომელიც ჯანსაღ ოპოზიციაში არ ედგას ადგილობრივ ხელისუფლებას და თუ აქა-იქ გაისმის საქართველოს სახალხო ფრონტის მისამართით [illegible], ეს ან ცალკეული პირების ბრალია, რომლებიც სპეციალური დავალებით მოქმედებენ, რათა ფრონტს სახელი გაუტეხონ, ან რაღაც გაუგებრობის, ან უბრალოდ ცილისწამების შედეგია.

სამწუხაროდ, ჩვენდა მოულოდნელად, ჩვენი მისამართით ყოვლად დაუმსახურებლად ლანძღვის სიტყვების სროლა დაიწყეს ზოგიერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების წარმომადგენლებმა. ამ „დიდ, საშვილიშვილო" საქმეში თავი გამოიდეს ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების წევრებმა. დაუკვირდით, საქართველოში მოქმედ მრავალ პარტიათა შორის ეს პარტიები შედარებით აქტიურნი და ავტორიტეტულნი არიან. სწორედ აქედან გამომდინარე დასკვნა ერთია, ისინი შეაშინა სსფ-ს მზარდმა ავტორიტეტმა, ამის შედეგად საკუთარი პოზიციების „დაკარგვამ" და დაიწყეს ჩვენი მისამართით ტალახის სროლა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა მათი მისამართით რაიმე აუგის თქმისა, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მანამდე და არც მერე, დღემდე. მაგრამ ერთი ცნობილი ქართველი კრიტიკოსის ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, „ჩემს სახლში მაინც მათქმევინეთ სიმართლეო", როდესაც ჩვენ გვსაყვედურობენ პოზიციების უქონლობას, სასაცილოა და სხვა არაფერი. ჩვენი პოზიცია ყველაზე ურყევი და გეგმაზომიერია. ჩვენთვის მთავარი ის კი არ არის, სხვა გავლანძღოთ ან სამაგიერო მივუზღოთ ვინმეს ჩვენი დაუმსახურებელი გალანძღვისათვის, და ამით საერთო მტრის წისქვილზე დავასხათ წყალი, არამედ, საქმე ვაკეთოთ და საქმით დავანახოთ ხალხს, ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი. ჩვენი პოზიციაა პარლამენტური ბრძოლით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ოღონდ ზოგიერთი პარტიის პოზიციებისაგან განსხვავებით არ მიგვაჩნია ეს ერთადერთ გზად. ჩვენ ამ ძირითადი პოზიციიდან არ გადავუხვევია და დრომ უკვე დაგვანახა ამ პოზიციის სისწორე. გავა დრო და კიდევ უფრო ნათელი გახდება ეს და ჩვენი, თბილად რომ ვთქვათ, „ოპონენტები" რაც უფრო მალე შეიგნებენ ამას და თავს იტყვიან სხვის ლანძღვაზე (აქ ლაპარაკია არა მარტო ჩვენს ლანძღვაზე), მით უკეთესი იქნება მათთვისაც და მთელი ერისთვისაც, თუ მათ მართლა სურთ ერის კეთილდღეობა. აი, რომ [illegible] ერთი პარადოქსი, ოფიციოზიც [illegible] და მისი „შეურიგებელი ოპოზიციაც". საოცარია, როცა მტერს და მოყვარეს ერთი მიზანი აქვს.

საინტერესოა, თუ ეს ასე არ არის, მაშ საიდან მოდის ასეთი მტრული დამოკიდებულება საქართველოს სახალხო ფრონტის მიმართ. მაპატიეთ და მინდა რამდენიმე სიტყვით მეორე პირში მივმართო ჩვენს ოპონენტებს. დავიჯერო, მართლა ფიქრობთ, რომ სახალხო ფრონტი „მავნე" ორგანიზაციაა?... ღრმად ჩაიხედეთ საკუთარ გულებში და აღიარეთ, რომ არა... თუ არა და თქვით, ვის ავნო და რა ავნო სახალხო ფრონტმა?, რომელ თქვენგანს გავნოთ და რით?.. თუ იმით გევნოთ რამე, რომ სახალხო ფრონტმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში, ფართო მასებში და დიდ იმედად მოევლინა უბრალო ხალხს, ამას თქვენთვის ვნება კი არ უნდა მოეყენებინა, პირიქით, როგორც ქართველ პატრიოტებს (თუ თქვენ ასეთები ხართ), უნდა გაგხარებოდათ და ერთმანეთის გვერდში ამოვდგომოდით, რათა ერთად გვეწია ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე მძიმე ჭაპანი. ახლა კი თქვენმა ცილისწამებამ გარკვეულწილად დასცა საქართველოს სახალხო ფრონტის ავტორიტეტი. მოგეხსენებათ გებელსის ცნობილი ნათქვამი: „სიცრუე, რაც უფრო საოცარია, მით უფრო იჯერებს მას ხალხი". შედეგად ბევრმა უნებისყოფომ დატოვა საქართველოს სახალხო ფრონტის რიგები. დიახ, მე არ შემიძლია საყვედურით არ მოვიხსენიო ასეთი ადამიანები. ეს ის ხალხია, რომლებიც ძალას მიჰყვებიან და არა სიმართლეს. იოვანე საბანისძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ის ადამიანები არიან, „რომელნიც ირხევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა". ვიცი, იტყვით, რომ ბევრი ნაძირალა და პროვოკატორი მიეტმასნა სახალხო ფრონტს. მეც გეტყვით და დაგიდასტურებთ — ჭეშმარიტად ბევრი. ბევრიც თვითმარქვია „სახალხო ფრონტელი" დადის და ათასგვარ სისაძაგლეს სჩადის სახალხო ფრონტის სახელით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთებისგან თქვენი ორგანიზაციებიც არ არიან დაზღვეულნი, მაინც, გეთანხმებით, ფრონტში, ბუნებრივია, უფრო მეტნი იქნებიან, რადგან „ფრონტი" უბუფერო, უფილტრო ორგანიზაციაა, ამასთანავე მასობრივი, ვინაიდან ის ოფიციალურად, იურიდიულად რეგისტრირებულია, აქედან გამომდინარე უხიფათო და ყველას, ერსა და ბერს, თავისუფლად შეუძლია შემოვიდეს, განსხვავებით თქვენი პარტიებისაგან; მიუხედავად ამისა, „ფრონტში" მაინც გაერთიანდა ჩვენი საზოგადოების ძირითადი, აქტიური ნაწილი (მოგეხსენებათ, უმოქმედო მასა სახლში ზის და განცხრომით ბალახობს) და თუ საზოგადოების ძირითადი ნაწილი „მავნეა", მაშინ ვისთვის და რისთვის ვწვალობთ და ვიკლავთ თავს?.. მე რომ ასე ვფიქრობდე, ალბათ, ყოველგვარ პოლიტიკურ ბრძოლაზე ხელს ავიღებდი და ბერად აღვიკვეცებოდი. რჩება ორი ვარიანტი: თქვენ ან გჯერათ, რომ საქართველოს სახალხო ფრონტი, ე. ი. ქართველი საზოგადოების აქტიური ნაწილი „მავნეა" და მაინც განაგრძობთ ბრძოლას, ან არ გჯერათ და ამას იმიტომ გაჰყვირით, რომ უდიდესი ავტორიტეტის ორგანიზაციას სახელი გაუტეხოთ და თქვენთვის გარკვეული პოლიტიკური კაპიტალი დააგროვოთ. ორივე შემთხვევაში დასკვნა ერთი გამოდის: თქვენ მხოლოდ საკუთარი განდიდებისათვის იბრძვით და გსურთ, მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში გაიმაგროთ პოზიციები. თუ ეს მართლაც ასეა, გირჩევთ, უარი თქვათ სხვისი დამდაბლებით საკუთარ ამაღლებაზე, თორემ სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ, „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი დამდაბლდეს" (მათე 23.12) ახლავე გეტყვით—მე ეს არ მჯერა, მაგრამ როდესაც მესმის თქვენი ხმა, რომ არ გინდათ სხვისი განთავისუფლებული საქართველო, კვლავ ეჭვი მიპყრობს. ეჭვი მიპყრობს იმიტომ, რომ პირადად ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვინ გაანთავისუფლებს საქართველოს, მე ვიქნები ეს, თქვენ, ზვიად გამსახურდია, აკაკი ბაქრაძე, გივი გუმბარიძე, ახლანდელი უზენაესი საბჭო, მომავალი მრავალპარტიული პარლამენტი თუ სხვა. ოღონდ საქართველო განთავისუფლდეს, ოღონდ ვინმე გველეშაპს დალახვრავდეს და მე თუნდაც მისი ჭირის სანაცვლო ვიყო. ბოლოსდაბოლოს ხომ „თითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს" (ლუკა 6.44). რატომ არ მოგწონთ დამოუკიდებელი ლიტვა?... რატომ ამბობთ, რომ იგი უზნეო ხერხით განთავისუფლდა? (და რომ განთავისუფლდა, ნუთუ ეჭვი გეპარებათ?) განა არ იცით, მორწმუნენო, რომ „არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში" (ლუკა 6.43), იცით, რა თქმა უნდა, მაგრამ განგებ იბრმავებთ თავს და გავიწყდებათ, რომ „ბრმაჲ ბრმასა თუ წინა უძღჳს, ორნივე მთხრებლსა შთაცჳვიან" (მათე 15.14).

მინდა გავიხსენო 9 აპრილის ტრაგედიის ღამე, პირადად მე არ მიმაჩნია ეს ღამე მხოლოდ ტრაგედიის ღამედ. ეს იყო ქართველი ერის განწმენდის ღამე, მსხვერპლშეწირვის ღამე. ჩვენი ზვარაკი უფალმა დიდის მადლით მიიღო და ახლა უნდა ვილოცოთ, უნდა ვევედროთ ღმერთს, უნდა ვეცადოთ, რომ ეს მსხვერპლი, მსხვერპლი უმანკო გოგონებისა, რაც თავისთავად ბიბლიური მოვლენაა, აკმაროს ჩვენს ერს. ვეცადოთ, რაც შეიძლება მშვიდობიანად გავანთავისუფლოთ ჩვენი მრავალტანჯული დედა-სამშობლო. არ მოვყვეთ იმპერიის ნანგრევებში.

ეს არამცდაარამც არ ნიშნავს, გულხელდაკრეფილი ველოდოთ იმპერიის დანგრევას. არა. აუცილებელია შეურიგებელი, არაპარლამენტური ბრძოლის პარალელურად პარლამენტური, სამართლებრივი ბრძოლის გზა. ჩვენ არც ერთ გზას არ უარვყოფთ, მთავარია ეს გზა ზნეობრივად გამართლებული იყოს, მაგრამ მაინც ეს ორივე გზა და ყველა ჯანსაღი ეროვნული ძალა ერთად შეკავშირებული, აი, რა მიგვიყვანს სანუკვარ მიზანთან, თორემ „ყოველი ქალაქი, გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თჳსსა, ვერ დაემტკიცის" (მათე 12.25).

დღეს ეროვნულ მოძრაობაში დაქსაქსულობაა და ამის გადაწყვეტის გზად ზოგიერთ ეროვნულ მოღვაწეს მიტინგებზე საჯაროდ მეორე მხარის ლანძღვა მიაჩნია. თქვენ დალოცვილებო, შეხვდით ერთმანეთს, მოილაპარაკეთ, თუ ის არ მოდის, შენ მიდი მასთან; ჩინები არ ჩამოგერთმევა. კვლავ სახარების სიტყვებით ვიტყვი: „უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვნეთ მარტონი, უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმა იგი შენი". (მათე 18.15) გესმით?... „როცა ორივენი მარტონი იყოთო" და არა საჯაროდ, მიტინგებზე, აღგზნებული, ემოციური მასის წინ, რომელსაც საწინააღმდეგოს ვერაფერს შეასმენ. დიახ, მხოლოდ კონსტრუქციული დიალოგი, მოლაპარაკება, ურთიერთკომპრომისი. კომპრომისი დღეს ბევრს უზნეობად მიაჩნია. მე მხედველობაში არა მაქვს ზნეობრივი კომპრომისი, მაგრამ პოლიტიკური კომპრომისის გარეშე არ არსებობს არავითარი დიალოგი, არავითარი შეთანხმება. თორემ, მრავალათასიანი ხალხის წინ ერთმანეთის ლანძღვა, ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ მტრის წისქვილზე ასხამს ძლიერი ჭავლით წყალს. ხომ შეიძლება ამან ძმათა შორის სისხლისღვრამდე მიგვიყვანოს. რაც ვერ განახორციელეს ბნელმა ძალებმა გასული წლის 18 თებერვალს, ნუთუ ჩვენივე ხელით უნდა გავაკეთოთ?... ღმერთმა დაიფაროს და ეს რომ მოხდეს, რომელი აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე? ყველამ დაიმახსოვროს, რომ ერი ამას უკვე არავის არ აპატიებს. ო, როგორ ოცნებობს ჩვენი საერთო მტერი, რომ ეს მოხდეს, თვითონ ხომ არ აკლებს ძალასა და ენერგიას, რათა დაუპირისპიროს ერთმანეთს ეროვნული ძალები. მაშ მტერმა და მოყვარემ როგორ უნდა ვაკეთოთ ერთი საქმე?... გავიხსენოთ მერაბ კოსტავა, რომლისთვისაც ტრაგედია იყო ერის შიგნით დაქსაქსულობა, რომელსაც არაერთხელ უთქვამს პირადად ჩემთვის (შესაძლოა, ბევრი სხვისთვისაც), რომ თუ ვერ შევაკავშირებდით ეროვნულ ძალებს, იგი გავიდოდა ეროვნული მოძრაობიდან. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ცოცხალი მერაბი გასულიყო ეროვნული მოძრაობიდან?... და რაკი მან ეს ვერ შესძლო... იგი ... აი ასე... გავიდა მოძრაობიდან...

ორიოდე სიტყვით 25 მარტის „საბჭოთა" არჩევნებში მონაწილეობა არმონაწილეობაზე მინდა მოგახსენოთ; თუმცა ბატონმა რამაზ კლიმიაშვილმა სრულიად ამომწურავად თქვა ჩემი სათქმელი (იხ. გაზეთი „თბილისი", 1990 წ. 24 აპრილი), რისთვისაც დიდი მადლობა მინდა მოვახსენო მას. ნუთუ ბატონ კლიმიაშვილს რომ არ ეთქვა, ისე არ ჩანდა „შეუიარაღებელი თვალით", რომ საბჭოთა მთავრობას „სული მწარედ" უნდოდა საქართველოში არჩევნების ჩაშლა? სწორედ ამიტომ გაამარჯა და გაამასხრა „თავისი" არჩევნების წინასაარჩევნო კამპანია და ყველა ვიგინდარას მისცა საშუალება თავისი კრეტინი თავი წამოეყენებინა დეპუტატობის კანდიდატად... ნუთუ ეს ასე ძნელი შესამჩნევი იყო? ამის არდანახვა ან სიბრმავეა, ან ძალით თავის დაბრმავება და კიდევ ვიმეორებ, ოღონდ სხვა სახარების კონტექსტში: „ნუ უკუ ხელ-ეწიფებისა ბრმასა ბრმისა წინამძღუანვად? არა-მეა ორნივე ჯურღმულსა შთაცჳვიენ?" (ლუკა 6.39). ასე, რომ უკვე მერამდენედ, განა შეიძლება, რომ მტერსა და მოყვარეს ერთი და იგივე [illegible]? ასეა თუ ისე, 25 მარტის [illegible] ბოიკოტი და ჩაშლა საქართველოსათვის ზურგში ლახვარის ჩაცემა იყო და რაც მალე შეიგნებენ ამას ჩვენი მობოიკოტეები, მით უკეთესი იქნება მათთვის. ბევრი გვეუბნება, რომ არჩევნები თქვენ თვითონ ჩაშალეთო. ეს არ არის მართალი. ზემოთნახსენებმა ძალებმა რომ დაინახეს 9 მარტის გადაწყვეტილებები და საფრთხე იმისა, რომ ყველაფერი მათ გარეშე ხდებოდა, სასწრაფოდ მოიფიქრეს ე. წ. „საგანგებო კონფერენცია" და ლანძღვა გინების კორიანტელი აუყენეს სახალხო ფრონტს, რომელიც ძირითადი მოქმედი პირი იყო ყველა იმ წინგადადგმული ნაბიჯისა. მათ მიზნად ჰქონდათ სახალხო ფრონტის საერთოდ დაშლა, მაგრამ ეს არ გამოუვიდათ და არც გამოუვათ, საქართველოს სახალხო ფრონტი იყო, არის და იქნება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ძალა საქართველოში. აქვე მინდა გავიხსენო ის ადამიანები, ვინც აჰყვნენ ე. წ. საგანგებო კონფერენციის მოწოდებას და უარი თქვეს დეპუტატობის კანდიდატობაზე. სირცხვილი მათ. ჩვენი მხრიდან განსაკუთრებით გასაკიცხია ის, ვინც ჩვენს მიერ იყო წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატად და კრიტიკულ მომენტში გვიღალატა, რათა თავი მოეწონებინა კონფერენციის ორგანიზატორებისათვის. ზოგი მათგანი ამ გზით „ფორუმის" წევრიც კი გახდა. თვით სახელწოდებაც კი „საგანგებო კონფერენცია" მეტყველებს თავის თავზე. მოიწვიეს საგანგებო კონფერენცია, რათა დაეშალათ ფრონტი, ჩაეშალათ არჩევნები. პირველი ვერ მოახერხეს (და ვერც მოახერხებენ), მეორე კი წარმატებით.

მე არ უარვყოფ, რომ ე. წ. „არაფორმალური" საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, და ბოლოს პოლიტიკური პარტიები დიდ ოპოზიციურ ძალად მოევლინნენ ხელისუფლებას (ან როგორ შემიძლია ამის უარყოფა), მაგრამ დამერწმუნეთ, სახალხო ფრონტი რაღაც განსაკუთრებულ, მათთვის საშიშ მასობრივ ოპოზიციად გამოეცხადა ოფიციოზს. ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვა მან სახალხო ფრონტი. მიუხედავად იმისა, რომ იძულებული გახდა, ბევრ რამეში ანგარიში გაეწია მისთვის, იმთავითვე დაიწყო ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლა. გარდა იმისა, რაც უკვე მოგახსენეთ ამ სიტყვის დასაწყისში, საქართველოს სახალხო ფრონტს დღემდე არა აქვს შენობა, მრავალგზის მიმართვის, თხოვნის, მოთხოვნის მიუხედავად ფაქტი ფაქტად რჩება. უფრო მეტიც, რამდენ შენობაზეც განვაცხადეთ პრეტენზია, იმდენი ეს შენობა სასწრაფოდ სხვას მიაკუთვნეს. ჯერ იყო და პოლიტგანათლების სახლი, რომელიც სრულიად უფუნქციო, უმოქმედო და ცარიელი შენობა იყო, წყნარად მოვითხოვეთ, სასწრაფოდ შეასახლეს შიგ ოთხი თუ ხუთი დაწესებულება და ბოლოს თვით თეატრი (ყოფილი მეტეხის თეატრი). შემდეგ ოფიციალური მიმართვით მოვითხოვეთ სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის გაუქმება, რომლის თბილისში არსებობის შესახებ ალბათ ბევრმა თქვენთაგანმაც კი არაფერი იცოდა, (არც მე ვიცოდი ბოლო დრომდე) და ამ შენობის ჩვენთვის გადმოცემა. სხვათა შორის, ჩვენს განცხადებაში ასეთი ფრაზა იყო: „ჩვენ რომ არც გვჭირდებოდეს შენობა, ასეთი მუზეუმის არსებობა დღეს საქართველოში ყოვლად გაუმართლებელია". მუზეუმი მართლაც გაუქმდა, მაგრამ... გადაეცა მერაბ კოსტავას საზოგადოებას. ეს ალბათ კიდევ მიტომ მოხდა, რომ ჩვენ ერთმანეთს დავეჯახებინეთ, მაგრამ მოტყუვდნენ. ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე ვთხოვე ბატონ პეტრე ჩხეიძეს, დაეთმო ჩვენთვის უზარმაზარი შენობის (საუბარია პროფსაბჭოს შენობაზე) ერთი ნაწილი. ბატონმა პეტრემ ისეთი სურათი დამიხატა, რომ ლამის ჩვენი „სოროც", რომელშიც დროებით ვართ გაჭირვებით მოთავსებული, პირიქით დაგვეთმო მათთვის, გავიდა ხანი და შენობის ნაწილი დაეთმო მერაბ კოსტავას სახელობის საადგილმამულო ფონდს. მოვითხოვეთ საზოგადოება ცოდნაში შენობის ნაწილი და აქაც სასწრაფოდ შეასახლეს მონარქისტები. ალბათ მიზანი ერთია—გადაგვკიდონ ამ საზოგადოებებს და ორგანიზაციებს. ჩვენთვის გასაგებია, რომ ყველა ამ ორგანიზაციებს სჭირდებათ ეს შენობები და ღმერთმა მოახმაროთ, მაგრამ ამ ფაქტებიდანაც ნათლად ჩანს ოფი-

დამოკიდებულება სახალხო ფრონტი-
ო მისცეს ნორმალური მუშაობის სა-
. სათლად ჩანს ისიც, რომ ხელისუ-
რომელსაც ძალაუფლება 70 წლის
ძალმომრეობის მეშვეობით უპყრია
ღესაც ძალადობას უფრო სცემს
ვიდრე კონსტრუქციულ თხოვნას ან
მოთხოვნას. ჩვენ კვლავაც უარი
ქვათ ძალმომრეობის ყველა მეთოდ-
ემე თხოვნა იქნება ახლადარჩეული
ო ორგანოების მიმართ, რომ ამ პო-
არ გადაუხვიოს, თუნდაც კვლავაც
დარჩეს. აქვე მინდა აღვნიშნო ჩვე-
ობის ტიტულოვან წევრთა უმოქმე-
საკითხთან და არა მარტო ამ საკი-
აკავშირებით, რომელთაც ხელიც კი
რიეს ჩვენი ბინის საკითხის გადასა-
თორემ მათ მაინც რომ შეეწუხები-
ვ თავი, დღეს ასეთ მდგომარეობა-
არ ვიქნებოდით. განსაკუთრებული
ვილით მინდა აღვნიშნო ბატონ
ენგელაიას გულგრილი დამოკიდებუ-
ალხო ფრონტის მიმართ. მიუხედა-
ა, რომ იგი გამგეობის წევრია, ჯერ
ლზე იშვიათად მოდიოდა გამგეობის
ე. შემდეგ, ნელ-ნელა ფეხიც კი
თა კინოს სახლის შენობიდან და
ჩვენი ე. წ. „სოროზო“ ყაზხეგის
, რომელიც ჩვენ საარჩევნო კომისი-
დიდი წვალებით მოვიპოვეთ, ალ-
თოდ ქუჩაში დავრჩებოდით. თუმ-
მხრივ მადლობა მინდა ვუთხრა,
ი ოთახი სამორიგეოსათვის მაინც
ა.
ერით მინდა მოვიხსენიო გამგეობის
ებიც, რომელნიც განსაცვიფრებ-
ეურობდნენ. არათუ არაფერს აკე-
სახალხო ფრონტისათვის, გამგეო-
მებზეც კი არ დადიოდნენ. საარჩე-
ნიის დროს, როდესაც ისეთი ვითა-
ქმნა, რომ აუცილებელი იყო ქვორუ-
ა, ძლივს ვახერხებდით მათ მოყვანას
სხდომებზე. პირადად მე ვურეკავ-
მი და ვთხოვდი, მობრძანებულიყვ-
ლაზე საინტერესო ისაა, რომ ასეთი
დასჭირვებია ჩვენს ყველაზე მხცო-
ეობის წევრს, ბატონ სოლომონ
ს, ეს არ სჭირდებოდა ბატონ თა-
ელიძეს, რომელიც არავიზე ნაკლე-
მეტად არა) არ არის დაკავებული
ლი და ადმინისტრაციული სამუშა-
გი, როგორც მოგეხსენებათ, აღმოსა-
დნეობის ინსტიტუტის დირექტო-
არ სჭირდებოდა ბატონ შოთა ნადი-
ბატონ გურამ ყორანაშვილს, ქალბა-
ლა სვანიძეს, ქალბატონ ლანა ღოღო-
ბატონ გოჩა გავაშელს და კიდევ
ე გამგეობის წევრს. ნახევარზე მე-
რული პასუხისმგებლობით შემიძლია
ო, რომ იყვნენ უბრალოდ ფიქტი-
ები. ამიტომ დღევანდელ ყრილო-
მოვუწოდო, რომ ახალი კანდიდა-
ახელებისას ვიხელმძღვანელოთ არა
ობის პრინციპით, არამედ კარგად გა-
, ვის ვაძლევთ ხმას და ავირჩიოთ
ელი, საქმის მკეთებელი ადამიანები,
დიდატებიც კარგად დაფიქრდნენ და
შეეძლებათ საკუთარი დროის დი-
დაუთმონ სახალხო ფრონტს, უა-
გამგეობაში, ან სათათბიროში (ახა-
ების პროექტის მიხედვით) არჩევნე-
წილეობაზე და აცილება მისცენ თა-
დიდატურას.
ლოს მინდა შევჩერდე საქართველოს-
ო ფრონტის ფუნქციაზე სოციალუ-
ვის საკითხში.
ებო! ჩვენთან უამრავი განცხადებე-
ლები შემოდის, მთხოვნელები მო-
ყველა მათგანი გვთხოვს დახმარე-
ვნა მრავალგვარია, დაწყებული სამ-
უკანონო დათხოვნითა და აღდგე-
ვნით, ბინის პრობლემითა და სხვა,
ბული უკანონო პატიმრობით. ზოგ-
ვნელის თხოვნა უკიდურესად კური-
მაგალითად, ქალს ქმარი ღალატობს
ხო ფრონტს სთხოვს დახმარებას.
ის სახუმარო და სასაცილო. ადამი-
გორც ადრე მოგახსენეთ, სახალხო
იმედი აქვთ და ჩვენ არა გვაქვს
ისინი უყურადღებოდ დავტოვოთ.
ელია შეიქმნას სოციალური დაცვის
განყოფილება, გარდა ამისა, წერი-
ანყოფილება და ბევრი სხვა, ან უა-
ვთქვათ სოციალურ დაცვის ფუნქ-
აც არამცდაარამც არ ხერხდება და
რცა გვაქვს უფლება. ამიტომ ახლად
მმართველ ორგანოებს დიდი დაფიქ-
თებით ამ საკითხთან დაკავშირებით
ანდელ ყრილობასაც მართებს გამო-
ავისი აზრი ამასთან დაკავშირებით.
რებო! ვიცი, ამ ყრილობაზე ბევრი
ლი აზრი გამოითქმის გამგეობის მი-
უძლოა თავმჯდომარის მიმართაც
ართაც. პირადად მე მზად ვარ ყურა-
მოვისმინო და მივიღო ყველა საყვე-
უ კრიტიკა, ობიექტური იქნება ეს,
ანი თუ უსამართლო და თუ ყრი-
აგვავალდებულებს, ვუპასუხოთ კი-
სურვებ ამ ყრილობას წარმატებას,
ართველოს სახალხო ფრონტს კვლა-
ვგინოს თავისი დამსახურებული ავ-
ტი და ელვაწოს ერის მომავლის სა-
ლეოდ, საქართველოს სრული დამოუ-
ობის აღდგენისათვის.
ი იყოს ჩვენი მფარველი!

**27 ივნისი, 1990 წ.**

**ეროვნული სკოლა**

# რისთვის ვიბრძოლოთ, ეროვნულობისთვის, თუ?!

ჟურნალ „ლიტერატურულ საქართველოში“ ბატონ ალექსანდრე ფოცხიშვილის ვრცელი წერილი „იძულებით, მაგრამ აუცილებელი განმარტება“ გამოქვეყნდა. ბატონი ალექსანდრე შალვა ამონაშვილის მოღვაწეობას ამართლებს და იცავს. ადამიანის დაცვა შეიძლება, ოღონდ მისი მოღვაწეობის გამართლება მეორე მხარეა.

ბატონ ალექსანდრეს წერილმა, სიმართლე გითხრათ, გამაოცა. გამაოცა იმიტომ, რომ ენათმეცნიერია, ქართული ენის ქომაგი. მისი წერილი იმას ჰგავს, გვირაბიდან გასული კაცი სინათლეს რომ დაინახავს და მაშინვე ვილაცა ხელს ააფარებს, ახლავე დახუჭე თვალები და უკან გაბრუნდიო, უბრძანებს. მაგრამ რადგან ჩვენ უკან დაბრუნება აღარ გვინდა, ამიტომ ბატონ ალექსანდრეს ხათრისა და პატივისცემის მიუხედავად, გადავწყვიტე, ეს წერილი გამომექვეყნებინა.

შალვა ამონაშვილის ექსპერიმენტულმა იდეებმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდაო, ჩივიან ქომაგები და გულშემატკივრები. ვერ მოიკიდა იმიტომ, რომ მისი ნოვატორობა უცხოურ, „თავისუფალ“ სწავლებაზეა აგებული. ამ შემთხვევაში რუსული წერისა და ენის თავისებურებებით არის განპირობებული. ოღონდ ეგ კია, რომ ექსპერიმენტები ქართულ სკოლებში, ქართველ ბავშვებზეა ჩატარებული. ესე იგი, საცდელი ძალა არის ქართული უცხო ენათა შესწავლის და ათვისების გასაძლიერებლად. აქედან გამომდინარე, ცხადია, ბატონ შალვას შეუძლია ნებისმიერ სკოლაში ჩაატაროს ექსპერიმენტი, მაგრამ ის არ იქნება ქართული და არ ერქმევა ქართული გაკვეთილი. ასეთი ექსპერიმენტების მიზანიც ეს არის. ის მოწყვეტილი უნდა იყოს, არ უნდა გადაიზარდოს ეროვნული სკოლის ამაღლებისა და განვითარების პერსპექტივაში. ექსპერიმენტულმა სკოლებმა კრახი განიცადეს თვით რუსეთში, უკრაინაში, სხვა რესპუბლიკებშიც. ბალტიისპირელებმა საერთოდ პროტესტი გამოუცხადეს ცენტრიდან წამოსულ გაძლიერებულ ექსპერიმენტულ სწავლებას. არ იფიქროთ, მხოლოდ „გარდაქმნის“ შემდეგ. უკანასკნელ წლებში ექსპერიმენტული სწავლების უსუსურობის შესახებ ბევრი დაიწერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უკრაინაში, მ. პ. შჩეტინინის „უნიკალურ“ სკოლაში, აღმოაჩინეს, რომ მეათე კლასელებმა ხეირიანად თვლაც კი არ იცოდნენ... მიუხედავად ამისა, „ექსპერიმენტები“ დღემდე „წარმატებით“ გრძელდება და მრავალმა „ნოვატორმა“ „საპატიო“ სახელიც დაიმკვიდრა საბჭოთა პედაგოგიკაში: ის მეურვეები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ ექსპერიმენტების ჩატარებას, ხოლო საქართველოს ეროვნებათშორისი ურთიერთობის ლაბორატორიად გადაქცევას, დღესაც მშვიდად სხედან კუთვნილ თანამდებობებზე და თვალს ადევნებენ ექსპერიმენტების შემდგომ „სრულყოფას“.

როდესაც ქართულ ექსპერიმენტულ სკოლაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიმსჯელოთ არა იმის მიხედვით, თუ ამ სკოლიდან რამდენი ბავშვი მოეწყო უმაღლეს სასწავლებელში, ან ასპირანტურაში, არამედ საერთოდ, რას აძლევს იგი ქართული განათლების სისტემას, რითი გამოირჩევა, რა უპირატესობით სარგებლობს, წლების განმავლობაში მასზე დახარჯულ მილიონობით თანხას რითი ანაზღაურებს. ოც წელიწადზე მეტ ხანს მიმდინარე ექსპერიმენტი შეიძლება ექსპერიმენტად ჩავთვალოთ მხოლოდ იმის გამო, რომ გენერალური დირექტორი საზღვარგარეთ იარება თვიდან თვემდე და ნოვატორი პედაგოგის სახელს იმკის? შეიძლება ექსპერიმენტს ქართული ვუწოდოთ? თუ შეიძლება, მაშინ რატომ ვერ მოამზადა ერთი ხეირიანი მართლა საექსპერიმენტო სახელმძღვანელო წლების განმავლობაში? რამ გამოიწვია ამდენი კრიტიკა და უკმაყოფილება?

არ დაგიმალავთ და შესაძლებლობა მომეცა წამეკითხა შალვა ამონაშვილის სადოქტორო ავტორეფერატები პედაგოგიკაშიც და ფსიქოლოგიაშიც. შეუძლებელია ამ წერილში მათი ძირფესვიანად განხილვა, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, ოღონდ ბატონ შალვას დოქტორობისთვის მიეღწია და სულერთი იქნებოდა, რაში დაიცავდა დისერტაციას. ზემოთ ჩამოთვლილი კითხვებიც სწორედ ამ შრომების მიხედვით გამიჩნდა. ამ შრომებში მჟღავნდება შალვა ამონაშვილის ექსპერიმენტული მოღვაწეობის და როგორც გაერთიანებული დირექტორის მუშაობის საიდუმლოებაც.

ჯერ ერთი, იმან გამაოცა, რომ ფსიქოლოგიის ავტორეფერატს ბოლოში მინიშნებული აქვს „ვედუშჩიე უჩრეჟდენიე“:

Научно - исследовательский институт преподавания русского языка в национальной школе АПН СССР,

რომელიც ექსპერიმენტული მუშაობის და მეცნიერული კვლევის შედეგების „მითვისებელ-ამთვისებელი“ ყოფილა... მერეც, რამაც მე საბოლოოდ დამაეჭვა შალვა ამონაშვილის პედაგოგიურ სიმართლეში, ეს გახლავთ, აი, ეს ამონაწერი, რომელიც თავდაპირველად პირველკლასელების გასართობი თამაში მეგონა, მაგრამ მერე, როგორც გავარკვიე, ამ „თამაშის“ მიხედვით, ბატონ შალვას დისერტაცია დაუცავს სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად. (1973 წ. 10. IV).

Грузинская письменность характеризуется следующими основными графическими направлениями: 1) Овал, направленный слева вверх, затем направо вниз до завершения. Это направление нами именуется ИННЫМ (по графическому направлению грузинской буквы «ი», оно соответствует направлению РУССКОЙ строчной буквы — т). 2. Овал, направленный сверху вниз направо, затем вверх влево до завершения; это направление нами именуется **анным** (по написанию ГРУЗИНСКО БУКВЫ «ა», оно соответствует направлению РУССКОЙ строчной **буквы — м**). 3. Спираль двойного направления — начинает с я в одном направлении и кончается в другом. Это направление мы называем **танным** (по написанию **грузинской буквы «თ»**, оно соответствует направлению РУССКОЙ **строчной буквы — ф**). В качестве определяющих форм грузинской письменности выделяются овал и прямая линия.

ახლა ჩემს ყოფილ პედაგოგს, ენათმეცნიერს და პროფესორს ბატონ ალექსანდრეს ვეკითხები: აი, მხოლოდ ეს ამონაწერიც კი ადასტურებს თუ არა, რომ შალვა ამონაშვილი აყალბებს როგორც ქართველი ერის დამწერლობას, ისე ქართული პედაგოგიკის ისტორიას. (სხვათაშორის, აქვე უნდა დავძინო: ბატონი შალვა პედაგოგიკის ავტორეფერატში ჯერ კიდევ არ აღნიშნავს ქართული და რუსული წერის მსგავსებას. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიაში უფრო გაუადვილდა). ...განა შეიძლება გენეტიკური ძირები უარვყოთ და მხოლოდ გარეგნული ფორმების მიხედვით ვამტკიცოთ და ვინოვატოროთ, რომ რუსული „т“ და ქართული „ი“, რუსული „м“ და ქართული „ა“, რუსული „ф“ და ქართული „თ“, ერთი მიმართულების, ერთი ასოთწყობის დამწერლობაა? განა შეიძლება ამის გამო დავარღვიოთ გოგებაშვილისეული მყარი ოთხხაზიანი ბადე და რუსული, ევროპული ბადის უპირატესობა ვამტკიცოთ? იმ მეთოდებით და ხერხებით, რომლითაც შალვა ამონაშვილი იკვლევს და ასაბუთებს საძიებელ მასალას, ხომ ნებისმიერი ქვეყნის ანბანში შეიძლება მოიძებნოს შესაბამისი ფორმების და მიმართულების ნიმუშები. ანდა, რა ვუყოთ იმ ქართულ ასოებს, რომელთა შესატყვისებიც არ მოიპოვება უფროსი ძმების ანბანში. რა ვუყოთ ქ, ღ, ყ, ძ, წ, ჭ, ჰ, ჰ-ს! ამ ასოების ადეკვატურობაზე რატომ არაფერს ამბობს პატივცემული მეცნიერი.

ამასთან დაკავშირებით, მახსენდება წერილი „ნოვატორობის საზღვრები და პროჟექტიორობის უსაზღვროება“, რომლის ავტორი ნ. ცელიშჩევა მოგვითხრობს ერთ შალვა ამონაშვილისთანა სახელგანთქმულ, ნოვატორ პედაგოგზე, მიხეილ შჩეტინინზე, რომელმაც განადგურების პირამდე მიიყვანა უკრაინაში სოფელ ზიბკოეს საშუალო სკოლა: — „სურვილი, რადაც არ უნდა დაჯდეს, ნოვატორის სახელი გაგივარდეს, **მუსრი გაავლო ყველაფერს იმას, რაც შენამდე იყო, მიმართულია არა მომავლისკენ, არამედ წარსულისკენ**“... — ასკვნის ამ წერილის დასასრულს ავტორი.

ბატონმა შალვამ რომ „მუსრი გაავლო“ და იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობაზე უარი თქვა, ეს კარგად იკითხება მის თეორიულ შრომებში. მომავალი დოქტორის მოღვაწეობა და ექსპერიმენტული გამოცდილება საითკენ იყო მიმართული, ესეც მშვენივრად მჟღავნდება იმავე შრომებში, აი, როგორ აჯამებს თავის საექსპერიმენტო მუშაობას ბატონი ამონაშვილი:

В заключении диссертации подытожены ее основные результаты: здесь в частности выделены следующие моменты. Предложенное нами психологическое обоснование особой системы развития письменной речи имеет общетеоретическое значение и может быть использовано в учебной работе по усвоению любого языка (в частности русского)..

დიახ, ბატონებო! კაცი საკუთარი პირით გვეუბნება, მე, ქართველი ბავშვების კალიგრაფიის, ქართული ენის მართლწერის საკითხების გასაუმჯობესებლად, ქართული სკოლის ამაღლებისთვის კი არ ვიღვწი, ჩემი იმედი ტყუილად ნუ გაქვთ, ჩემს სისტემას ზოგადთეორიული მნიშვნელობა აქვს და თუ მინდა ინგლისურის ასათვისებლად გამოვიყენებ, თუ მინდა ბულგარულის, თუ მინდა გერმანულის, თუმცაო, გულახდილად აღიარებს, საბოლოო ჯამში, მაინც რუსული ენისთვის ვზრუნავდიო. ახლა მითხარით, ეგრეთ წოდებული იაკობ გოგებაშვილის, უფრო სწორედ კი „ამონაშვილის სახელობის სამეცნიერო სასწავლო გაერთიანების“ მადლიერი ვინ უნდა იყოს, ქართველი, თუ რუსი ერი... ერთი ესეც გავარკვიოთ, ბატონ შალვას მიერ უარყოფილი გოგებაშვილის ნოვატორობა რაში გამოიხატება და შევუდაროთ მის „ნოვატორობას“...

პატივცემული ვალერიან რამიშვილი წერილში „იაკობ გოგებაშვილის „დედანი ქართული წერისა“ წერს: ...ქართული მხედრული ხელი რთულია, ოთხხაზოვანი, მაშასადამე, ბადეც ქართული უნდა იყოს, ე. ი. ოთხხაზოვანი... საუკუნის მანძილზე არაერთი შემოტევა ხვდა წილად იაკობ გოგებაშვილის დედანსა და წერის სწავლების პროგრესულ სისტემას. **ჩვენს დროშიც იყო ცალკეული პირების წარუმატებელი ცდები ი. გოგებაშვილის წერის ოთხხაზიანი ბადე შეეცვალათ ვიწრო გაბარიტიანი ორხაზიანი რვეულით, რომელიც ევროპული ენების წერის ხწავლებაშია გამოყენებული... იაკობ გოგებაშვილის სიტყვით რომ ვთქვათ, სხვა ასოების საწერი „კალაპოტი“ არ გამოდგება ქართული სპეციფიკური წერის „კალაპოტად“...**

აი, ასეთი გულისხმიერებით ეკიდება ქართველი ენათმეცნიერი გოგებაშვილის მემკვიდრეობას, ის „ზოგიერთი“ კი, ევროპულის, ანუ „ლიუბოგო იაზიკას“ წერითი სწავლების მეთოდი რომ უნდა დაენერგა ქართულ დაწყებით კლასებში, გახლავთ ბატონი შალვა ამონაშვილი და მისი თანამოაზრენი. ამიტომაც შეითვისა იგი და შეიყვარა საბჭოთა რუსულმა სკოლამ, ამიტომაც ზის ხშირად საკავშირო ეკრანზე და საკვირაო ქადაგებას გვიტარებს.

თუ გოგებაშვილმა „დედანი ქართული წერისა“ მთელი ქართული საკალიგრაფიო სკოლის და ქართული დამწერლობის ნიმუშების საფუძველზე შექმნა, ბატონმა შალვამ საკუთარი სისტემა ე. ვ. გურიანოვის, პ. ი. გალპერინის, დ. ბ. ელკონინის, ნ. ი. ჟინკინის, მ. პ. ფეოფანოვის, ე. ვ. არხანგელსკაიას, ე. ნ. სოკოლოვის, თორნდაიკის, გრეის, ა. ი. გელმონტის, მეიმანის და სხვა რუს თუ უცხოელ პედაგოგთა და ფსიქოლოგთა შრომებზე ააგო.

— მერე რა მოხდაო, — შემომედავება ზოგიერთი, — გოგებაშვილიც კი აფასებდა უშინსკის, დისტერვეგს, პესტალოცს, სხვებსაც, რა დააკლდაო?

იაკობ გოგებაშვილს დიახაც რომ არაფერი დააკლდა, სწორედ ევროპული და რუსული წერის ნიმუშების გაცნობამ და შესწავლამ ათქმევინა: „ევროპულს ასოებს, როგორც უფრო მოკლეებს, დაირიბება აშკარად არ ეტყობა. ჩვენებურებს კი ეს დაირიბება **ამხგავხებხ ხეებხა, რომელნიც მიწაზედ იქცევიან. თუმცა დაირიბება ევროპულიხ ახოების ხახიათხ მაგდენად არ ეწინააღმდეგება, მაგრამ ხაუკეთეხო კალიგრაფები და ჰუმანიხტები ევროპიხა და რუხეთიხ, ახლა უკვე უარყოფენ ირიბ ხელხა და უპირატეხობახ აძლევენ პირდაპირხაო“.**

იაკობ გოგებაშვილი თუ ასე საფუძვლიანად და პროფესიულად უდგება ევროპულ დამწერლობას, სამაგიეროდ, ჩვენი დროის „გოგებაშვილი“ უარყოფს მხედრულ, ქართულ ხელსა და უპირატესობას აძლევს რუსულს, ევროპულს... თუმცა, არც უნდა იყოს საკვირველი. უპირატესობა რომ არ მიეცა, მაშინ ვეღარც დისერტაციას დაიცავდა და ვეღარც საქვეყნოდ ცნობილი ნოვატორი პედაგოგის სახელს დაიმკვიდრებდა.

1989 წლის ოქტომბერში, გაზეთ „თბილისში“, ერთი მნიშვნელოვანი წერილი დაიბეჭდა, რომელსაც რატომღაც ყურადღება არავინ მიაქცია. „ჩვენი პირველი წიგნი“, ასე ერქვა წერილს და ხელს აწერდა „ნეიტრალური პირი“, მშობელი მანანა მაზიაშვილი. ქალბატონი მანანა ყურადღებას თხოვდა გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიას.

— ის ორი საკოლო სახელმძღვანელო, რომლებზეც ქვემოთ უნდა ვისაუბრო, შეადგინეს ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიის თანამშრომლებმა. ერთს „დედა ენა“ ჰქვია, მეორეს — „ჩირაღდანი“ (პირველი ნაწილი) და განკუთვნილია პირველი და მეორე საექსპერიმენტო კლასებისათვის, — წერს ქალბატონი მანანა, — არ ვიცი, თვად პედაგოგები რას ფიქრობენ, მაგრამ მე, **დედას**, მგონია, **ამგვარი სახელმძღვანელოებით არ უნდა ვიწყებდეთ პატარებისთვის მშობლიური ლიტერატურის გაცნობას.**

ვიცი, ეს არის ექსპერიმენტი და წიგნებიც ექსპერიმენტულია, მაგრამ იმ ოთხიათასი ბავშვისათვის, ექსპერიმენტული სახელმძღვანელოებით რომ ეუფლებიან მშობლიურ ენას. არა მგონია ეს დიდი შეღავათი იყოს. ყოველ **შემთხვევაში, მე არ მინდა ჩემს შვილზე ამგვარ ექხპერიმენტს ატარებდნენ... ამ ხახწავლო წელხაც ექხპერიმენტული ჯგუფები ზემოთ განხილული ექხპერიმენტული სახელმძღვანელოებით გაივლიან მშობლიური ენის კურსს.** იქნებ აქვს კიდეც დიდაქტიკის ლაბორატორიას მათი გადახალისების და შეცვლის სამომავლო პროგრამა, მაგრამ როდის იქნება ეს? **წლეულს ხომ კიდევ ოთხიათას ბავშვს დააკლდება ის, რისი მოცემაც სრულყოფილ მხატვრულ ლიტერატურას შეუძლია?“**

აი, ესეც „ნეიტრალური პირის“, ქართველი დედის წუხილი და ჯავრი. წესით, ამ მტკივნეულ პრობლემაზე გენერალურ დირექტორს პასუხი უნდა გაეცა, მაგრამ როდის მოახერხებდა? საამისოდ როდის მოიცლიდა? ალბათ, ან ამერიკელი კოლეგები ეყოლებოდა სტუმრად (რომელთაც არც „დედა ენის“ გაეგებათ რამე და არც „ჩირაღდნისა“) ან თვითონ იქნებოდა მიპატიჟებული საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში ექსპერიმენტულ სწავლებაზე ლექციების ჩასატარებლად. მისი მდგომარეობის „გამართლება“ შეიძლება, მაგრამ აი, ის ქომაგები როგორ გავამართლოთ, მის მოღვაწეობას თავდებად რომ უდგებიან მხოლოდ იმიტომ, ამონაშვილს ლექციების წასაკითხად იწვევენ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებშიო...

**ჯერ ეროვნული ხკოლა უნდა შევქმნათ, ქართულ პედაგოგიკაში ავაღორძინოთ გოგებაშვილიხეული ხწავლებიხ და მუშაობიხ მეთოდები და ევროპულზე მერე ვიფიქროთ.**

„ყოველი ევროპელი ჯერ საფუძვლიანად ითვისებს თავის მშობლიურს ენას და მხოლოდ მას უკან შეუდგება ხოლმე უცხო ენების ცოდნის შეძენასაო, — გვახსენებდა დიდი ქართველი პედაგოგი. უცხო ენასთან დაკავშირებით ვიტყვი: არ მომწონს ზოგიერთი ახალი სიტყვების შემომტანი და დამნერგავი წარამარა რომ გაჰყვირის: „კონსოლიდაცია, კონსოლიდაციაო“, „ერთობაო“, ამბობდნენ ჩვენი წინაპრები ამ სიტყვის მაგივრად. „ძალა ერთობაშიაო“, გვასწავლიდნენ. დღეს „კონსოლიდაციის“ მოწოდებასავით, კომუნისტური ლოზუნგივით ჟღერს, ცნება და მაგიურობა კი დაკარგა. ვიდრე პოლიტიკაშიც ქართულად არ ვილაპარაკებთ, „ძალა ერთობაშია“ გაუგებარი დარჩება.

ეროვნული სკოლის განვითარება სიმართლესა, ერთიანობასა და ქართული სიტყვის სიყვარულზე უნდა იყოს აგებული.

უკვე თითქმის წელიწადი ხდება, რაც სხვადასხვა რედაქციებში დევს ჩემი ღია წერილი შალვა ამონაშვილისადმი... იმ წერილში მის სადეპუტატო მუშაობაზეც ვწერდი. საკავშირო პროფკავშირების სახელით რომ იცავს „ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს“ ღირსებას“, იქიდანაც ჩანდა, რომ ცხრა აპრილის შემდეგ, ჟურნალ „პარტიულ სიტყვას“ ასეთ ინტერვიუს აძლევდა: „ამჟამად მთელ მსოფლიოში შეინიშნება ხალხების სწრაფვა გაერთიანებისკენ. ავიღოთ თუნდაც ევროპის პარლამენტი, ევროპის სახლის იდეა. ჩვენ კი ავდგებით და დავამსხვრევთ იმას, რაც ასე ძნელად ავაშენეთ, დავიძრებით ეროვნული ბინებისკენ? მერე და განა ეს გადაჭრის ჩვენს წინაშე დასახულ პრობლემას? ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ პრობლემებს? ჩვენი კავშირი ჩვენი მთავარი ისტორიული გამარჯვებაა. იმის გარანტიაა, რომ ყველა ამოცანას გადავჭრით“...

ახლა ისევ ბატონ შალვას ექსპერიმენტებით აღტაცებულ მოღვაწეებს ვეკითხები: რისთვის ვიბრძოლოთ? როგორც ბატონი შალვა გვირჩევს, „ჩვენი კავშირის“ შენარჩუნებისთვის, თუ ეროვნული ბინების ნგრევისათვის?!..

**ირინე ტალიაშვილი**

# მწუხარე სურათი

**ეს მწუხარე სურათი, რასაც წინამდებარე წერილში ვხედავთ, ქალბატონ რუსუდან დუნდუას მიერ 1989 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, მოსამზადებელ განყოფილებას მისაღებ გამოცდებზე მიღებული შთაბეჭდილებების ანარეკლია. მკითხველი, ეჭვიც, დარწმუნდება, რომ ვითარებას რადიკალური შეცვლა სჭირდება — განათლების თვით სისტემის შეცვლა და არა მხოლოდ ხაგნის კომისიების შემადგენლობის შეცვლა (როგორც ვიცით, დღეს ესეც კი არ გაკეთებულა).**

**თუ წინამდებარე პუბლიკაცია სამედიცინო ინსტიტუტში წარმოშობილი კონფლიქტის სამართლიან მოგვარებას ხელს შეუწყობს, გაზეთი „საქართველო" თავის შრომას დაკარგულად არ ჩათვლის.**

**ნ. ნათაძე**

**საქართველოს სახალხო ფრონტის [illegible] კომისიის თავმჯდომარის მოადგილის რუსუდან დუნდუას**

**მოხსენებითი ბარათი**

**თბილისის** სამედიცინო ინსტიტუტის (თსი) აბიტურიენტებისა და მათი მშობლების მრავალრიცხოვანი განცხადების საფუძველზე, აგრეთვე მრავალი წლის მანძილზე ამ ინსტიტუტში გამეფებული არაჯანსაღი ვითარების გამო (ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჯანსაღი ვითარებაა — **რედ.**) სსფ-ის გამგეობამ გადაწყვიტა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილების გასაუბრებაზე (გასაუბრება ტარდება ორ საგანში — ქიმიასა და ბიოლოგიაში) მოევლინებინა სახალხო ფრონტის წარმომადგენლები. 1989 წლის 25 ნოემბრიდან მივლინებულნი ვიყავით ოთხნი: სსფ-ს გამგეობის წევრები (ციალა სვანიძე, შალვა წიწუაშვილი), ბიოლოგი (ო. წიწილაშვილი) და ქიმიკოსი (წინამდებარე ანგარიშის ავტორი).

როდესაც 25 ნოემბერს, დილით, ჩვენ მივედით თსი-ში, გასაუბრება უკვე დაწყებული იყო და ტარდებოდა მეორე სართულზე, გრძელი დერეფნის ბოლოში. საგამოცდო ოთახის შესასვლელთან „გუშაგობდნენ" მიმღები კომისიის წევრები.

თსი-ს მოსამზადებელ განყოფილებაზე მსმენელთა მიღების პროცედურაში მონაწილეობდნენ: მიმღები კომისია 11 კაცის შემადგენლობით და ორი დარგობრივი კომისია — ქიმიასა და ბიოლოგიაში. მიმღებ კომისიაში შედიოდნენ — რექტორი (თავმჯდომარე), პრორექტორი, პარტიული და კომკავშირული კომიტეტების მდივნები, პროფკომიტეტის თავმჯდომარე, ერთი თუ ორი სტუდენტი და კათედრების თანამშრომლები. თითოეულ დარგობრივ კომისიას აგრეთვე ჰყავდა თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და 12 გამომცდელი. ქიმიის კომისია დაკომპლექტებული იყო თსი-ს ქიმიის კათედრების თანამშრომლებით.

ჩვენი მისვლის შესახებ მიმღები კომისიის თავმჯდომარეს, თსი-ს რექტორს ბატონ არჩილ ასათიანს ვაცნობეთ მიმღები კომისიის ერთ-ერთი წევრის მეშვეობით. ამის შემდეგ მოვიდა თავმჯდომარის მოადგილე და შეეცადა [illegible] ჩვენს გამობრუნებას. დაჟინებით მოვთხოვეთ მას გადაეცა რექტორისთვის სსფ-ის გამგეობის მიმართვა. რამდენიმე ხნის ლოდინის შემდეგ რექტორმა უკან დაგვიბრუნა სსფ-ს მიმართვა, რომელშიც გამოთქმული იყო სსფ-ის გამგეობის თხოვნა, რათა სახალხო ფრონტის წარგზავნილები დაეშვათ გასაუბრებაზე და შემოგვითვალა: „ამ ქაღალდს ძალა არა აქვს სახალხო განათლების მინისტრის რეზოლუციის გარეშე და გამოცდებზე ვერ დაგიშვებთ"-ო. შაბათი დღე იყო. მინისტრის ხელმოწერას ორშაბათამდე ვერ მივიღებდით. აშკარა გახდა, რომ სახალხო ფრონტი იქ სასურველი სტუმარი არ იყო და მიმღები კომისიის ხელმძღვანელები ცდილობდნენ, თავიდან მოვეცილებინეთ. ბოლოს, სსფ-ის გამგეობის წევრის, პროფესორ ციალა სვანიძის ხანმოკლე საუბრის შემდეგ რექტორთან, გასაუბრებაზე დაგვიშვეს, ოღონდ იმ პირობით, რომ ოთახის შესასვლელში დავდგებოდით (ან დავსხდებოდით) და იქიდან თვალყურს ვადევნებდით გასაუბრების მსვლელობას. (?!).

გასაუბრებისთვის შერჩეული იყო დაახლოებით 12X6 კვ. მ. ფართობის ოთახი, რომელსაც შუაზე ჰყოფდა ქსოვილის ტიხარი. ოთახის ერთ ნაწილში ქიმიაში ტარდებოდა გასაუბრება, ხოლო მეორეში — ბიოლოგიაში. ქიმიის საგამოცდო ოთახში იდგა უბრალო მაგიდები ქიმიის კომისიის თავმჯდომარისა და გამომცდელებისათვის (6 მაგიდა), აგრეთვე აბიტურიენტთათვის პასუხის მოსამზადებლად (13 მაგიდა), ორი საკანცელარიო მაგიდა მიმღები კომისიის მდივნებისათვის ქიმიასა და ბიოლოგიაში.

მე, როგორც ქიმიკოსი, დავრჩი ქიმიის საგამოცდო ოთახში. მასპინძლებმა კართან მიმიჩინეს ადგილი. როგორც ჩანს, კომისიის ზოგიერთი წევრი „მეგობრულ" გარკვეულწილად [illegible] გამოჩენილი ყურადღებით და დაახლოებით 1-1,5 საათის შემდეგ ბატონმა ა. ასათიანმა ნება დამრთო ადგილი შემეცვალა, მივსულიყავი საგამოცდო მაგიდებთან და აბიტურიენტის პასუხი მომესმინა. მცირე დროის შემდეგ (40-50 წუთში) ქიმიის კომისიის თავმჯდომარის, ბატონ ა. შველაშვილის შუამდგომლობით ნება დამრთეს, დავმჯდარიყავი ამა თუ იმ საგამოცდო მაგიდასთან და ჩაურევლად მომესმინა გასაუბრების მსვლელობა.

კონკურსში მონაწილეთა მთელი რაოდენობა (1600-ზე მეტი აბიტურიენტი) დაყოფილი იყო 25 კაციან ჯგუფებად. ყოველდღიურად გასაუბრებაზე 6 ჯგუფი გადიოდა მკაცრად განსაზღვრულ დროს — 8.30, 9.30, 11.00, 14.30, 15.30, 17.00. აბიტურიენტები თავდაპირველად ეზოში იცდიდნენ. გასაუბრების დაწყებამდე ისინი აჰყავდათ იმ დერეფანში, რომლის ბოლო ოთახშიც ტარდებოდა გამოცდა. საგამოცდო ოთახის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ორი პატარა ოთახი გარდერობის ფუნქციას ასრულებდა (აქვე ვიტყვი, ესოდენ დაწვრილებით იმიტომ აღვწერ მთელ პროცედურას, რომ საქმეში ჩახედული ადამიანისათვის ეს ვითარება მრავლისმეტყველი იქნება). აბიტურიენტები სიის მიხედვით შეჰყავდათ ბილეთის ასაღებად და მოსაფიქრებლად სვამდნენ (ვიდრე აბიტურიენტს საგამოცდო ოთახში გამოიძახებდნენ, საკმარისი დრო და შესაძლებლობა იყო, საჭიროების შემთხვევაში კომისიის წევრებსა და აბიტურიენტებს შორის „საჭიანი" საუბრებისთვის, განკუთვნილი მაგიდები დანომრილი იყო. თითოეულ საგამოცდო მაგიდასთან გასაუბრება უნდა შემდგარიყო უკვე კონკრეტულად განსაზღვრულ აბიტურიენტთან მოსაფიქრებლად მყოფ კონკურსანტთა ჯგუფიდან.

25 კაციანი ჯგუფიდან თითოეულ საგამოცდო მაგიდასთან იცდებოდა 4-4 აბიტურიენტი. მთელი ჯგუფის გამოსაცდელად გათვალისწინებული იყო დაახლოებით ერთი საათი. ეს საკმარისი არ იყო, ჯგუფის გამოცდა არ ესწრებოდა, ამიტომ შემდეგი ჯგუფიდან ნაწილ-ნაწილ შემოჰყავდათ აბიტურიენტები დანიშნულ დროს.

ბილეთისა და მაგიდის ნომერს, სადაც აბიტურიენტი იგზავნებოდა, ქიმიის კომისიის თავმჯდომარე და მდივნები წერდნენ იმ ფურცელზე, სადაც ჯგუფის სია იყო დაბეჭდილი. მდივანი აბიტურიენტს გადასცემდა გასაუბრების ფურცელს, აქვე დაფიქსირებული იყო დრო მოსაფიქრებელი პერიოდის (0,5 სთ.) გასაკონტროლებლად.

ჯგუფს ერთდროულად უტარდებოდა გასაუბრება ორივე საგანში. ჯგუფის ნახევარი ბიოლოგიის გასაუბრებაზე შეჰყავდათ, ნახევარი — ქიმიისა. ერთ-ერთ საგანში გასაუბრების შემდეგ აბიტურიენტი მიდიოდა მდივანთან, აბარებდა ამ საგნის გასაუბრების ფურცელს და იღებდა ბილეთს მეორე საგანში გამოცდის ჩაბარებისთვის (პირველ საგანში „არასაკმარისი"-ს მიღების შემთხვევაშიც კი). აბიტურიენტს მოსაფიქრებლად გზავნიდნენ მეორე ოთახში იმავე ნომრის მაგიდასთან, რომელთანაც პირველი გამოცდის ჩაბარებისას იჯდა (ამრიგად, თუ აბიტურიენტი თავდაპირველად ქიმიაში გაჰყავდათ გამოცდაზე, დაინტერესებული პირებისთვის სულ ცოტა ნახევარი საათით ადრე უკვე ცნობილი იყო, ვინ გამოცდიდა მას ქიმიაში და ერთი საათით ადრე მაინც — ვინ გამოცდიდა ბიოლოგიაში).

ქიმიკოს-გამომცდელთა წყვილები მათივე ურთიერთშეთანხმებით იყო შედგენილი. ყოველ დილით, უშუალოდ გასაუბრების დაწყების წინ, როცა აბიტურიენტებს მოფიქრებისთვის განკუთვნილი დრო დაუმთავრდებოდათ, საგამოცდო ოთახში შეჰყავდათ გამომცდელები და ქიმიის კომისიის თავმჯდომარე მათ საგამოცდო მაგიდებთან მიუჩენდა ადგილს. ამ დროიდან მოკიდებული, ვიდრე გასაუბრების დამთავრებამდე, შესვენების დროს გარდა (15.00-15.30), არც ერთი ქიმიკოსი გამომცდელი მცირე ხნითაც კი არ ტოვებდა საგამოცდო ოთახს (განსხვავებით ბიოლოგებისაგან, რომლებიც სურვილისამებრ გადი-გამოდიოდნენ).

ბილეთები ქიმიაში დანომრილი იყო (ბიოლოგიაში — დაუნომრავი). პაკეტი, რომელშიც ბილეთები ეწყო, დილით იხსნებოდა, უშუალოდ ჯგუფის შემოყვანის წინ. შემდეგ ბილეთებს ერთმანეთში ურევდნენ. ქიმის კითხვარში (ე. ი. ბილეთში) სამი თეორიული საკითხი იყო შეტანილი საშუალო სკოლის პროგრამიდან. აბიტურიენტს მხოლოდ იმ სამ კითხვაზე მოეთხოვებოდა პასუხი, ხოლო გამომცდელს მხოლოდ ბილეთში შეტანილი საკითხების ირგვლივ უნდა დაესვა კითხვები. მოსაფიქრებელ პერიოდში აბიტურიენტს გასაუბრების ფურცელში მოკლე ჩანაწერი უნდა გაეკეთებინა ბილეთში შეტანილი საკითხების შესახებ; თუ იგი ვერ მოასწრებდა პასუხის წერილობით გაფორმებას (უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზის გამო), გამომცდელი ვალდებული იყო, კითხვები დაესვა აბიტურიენტისათვის, რათა ბოლომდე გამოევლინა მისი ცოდნა, ან უცოდინარობა. კითხვა-პასუხი წითელი ფერის პასტით უნდა გაფორმებულიყო გასაუბრების ფურცელში. თუ აბიტურიენტმა სამი საკითხიდან თუნდაც ერთი არ იცოდა, მას ეწერებოდა „არასაკმარისი (0)". საკითხის ცოდნის შეფასებაზე პასუხისმგებლობა გამომცდელს ჰქონდა დაკისრებული. კომისიის თავმჯდომარე მხოლოდ კონფლიქტურ სიტუაციაში ერეოდა, ან აბიტურიენტის მოთხოვნით.

ქიმიის საგამოცდო ოთახში, გარდა აბიტურიენტებისა, იმყოფებოდნენ ქიმიის საგამოცდო კომისიისა და მიმღები კომისიის წევრები — 20-22 კაცი. აქ სივიწროვესთან ერთად ხმაურიც შემაწუხებელი იყო. ხმაურისა და მოფიქრებისთვის სრულიად დაუშვებელ პირობებს ძირითადად მიმღები კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი ა. ასათიანი ქმნიდა. იგი ხმამაღლა აძლევდა განკარგულებებსა და მითითებებს თითოეულ აბიტურიენტს (ვერ ძალდ, აიღე ბილეთი, დამჯდარიყო ამა თუ იმ მაგიდასთან, გადამჯდარიყო იმავე ნომრის მაგიდასთან, რომელთანაც ბიოლოგიის გამოცდის დროს იჯდა, ან პირიქით, თითოეულს უხსნიდა, რომ ეძლეოდა ნახევარი საათი მოფიქრებისათვის). მითითებების ამ ნაკადში ყველა აბიტურიენტი სწრაფად ვერ ერკვეოდა, ვერ ხვდებოდა, რა უნდა ექნა. ახლა მათთვის თავიდან ხდებოდა ყველაფრის ახსნა. ოთახის კართან მდგარი მიმღები კომისიის თავმჯდომარე არკვევდა ოთახის მოპირდაპირე კუთხეში მოსაფიქრებლად მჯდარი აბიტურიენტისგან, გავიდა თუ არა მისთვის განკუთვნილი დრო, კიდევ რამდენი წუთი დარჩა, მიუთითებდა გადამჯდარიყო საპასუხო გამომცდელთან და ა. შ. მთელი ეს სიტყვიერი ახსნა-განმარტება, მითითებები და განკარგულებები, ცხადია, ყველა მოფიქრალი და მოპასუხე აბიტურიენტის გასაგონად ხდებოდა, ხმის სიძლიერის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

იყო შემთხვევები, როცა 8-10 წუთით ადრე გადასვამდნენ აბიტურიენტს გამომცდელთა მაგიდასთან მოფიქრების დასამთავრებლად (!), მოფიქრების პერიოდში აცვლევინებდნენ ადგილს; მაგალითად, ერთი გოგონა 3-ჯერ გადასვეს 30 წთ-ის განმავლობაში, ახსნა-განმარტებაში ხშირად მიმღები კომისიის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთი სიტყვით, საგამოცდო ოთახში შესვლისთანავე აბიტურიენტი ფსიქიკურად დაძაბულ ვითარებაში ხვდებოდა.

შენიშვნაზე — „ამ პატარა საგამოცდო ოთახში ასეთი ხმაური, ხმამაღალი მითითებები, გადაძახილ-გადმოძახილი, აურზაური ხომ განაპირობებს ფსიქიკურ მდგომარეობას, პასუხის მოფიქრებაში ხელს უშლის აბიტურიენტს, რომელიც როგორც გამოსაცდელი ობიექტი, ფსიქიკურად ისედაც დაძაბულია. ეს ხომ ანგარიშგასაწევი ფაქტია", — რექტორმა მიპასუხა (გამომცდელებს შორისაც აღმოჩნდნენ მისი თანამოაზრენი) — „აქ კონკურსია ყველაფერში, აბა, როგორ გინდათ?! ექიმობას აპირებენ, ავადმყოფებთან ექნებათ საქმე, სწორედ ასეთ სიტუაციაში უნდა გამოავლინონ, რა შეუძლიათ. თუ ამ კონკურსს ვერ გაუძლებენ, ავადმყოფი როგორ უნდა გადაარჩინონ ექსტრემალურ სიტუაციაში, რაც ხშირად მოუწევთ პროფესიის გამო" (!!!).

გასაუბრების მოწყობა შეუფერებელ ოთახში ბატონმა ა. ასათიანმა ინსტიტუტის აუდიტორიების გადატვირთვით ახსნა, რაც გამოიწვია გასულ წელს სტუდენტთა კონტინგენტის არანორმალურმა გაზრდამ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო სხვა დარღვევებიც.

პრესითა და ტელევიზიით მიმღები კომისიის მიერ არასწორად იყო განმარტებული გასაუბრების, საკონკურსო შერჩევის შეფასების მონაცემები. სახელდობრ, ზოგადი გამოკითხვის ანუ გასაუბრების ნაცვლად მოეწყო მკაცრი გამოცდები კითხვარების (იგივე ბილეთების) მიხედვით. ამის მიზეზი იყო მაღალი კონკურსი (120 ადგილზე 1600-ზე მეტი განცხადება), ცოდნის შესაფასებლად იყენებდნენ სამ ნიშანს (ნაცვლად ტრადიციული ხუთბალიანი სისტემისა, რაც თავისთავად განუსაზღვრელ უფლებებს აძლევდა გამომცდელებს, უხელმძღვანელოთ საკუთარი კრიტერიუმებით): „არასაკმარისი (0)", „საკმარისი (3)", „მაღალი (4)". ჩემის დაკვირვებით, „არასაკმარისი (0)" ეწერებოდა იმ აბიტურიენტს, რომლის ცოდნა ხუთბალიან სისტემაში „სამიანზე" ან უფრო დაბალ ნიშანზე შეფასდებოდა. ცოდნის შეფასების ამ ორიგინალური ფორმის მიმართებას ხუთბალიან სისტემასთან აბიტურიენტებს გამომცდელები არ განუმარტავდნენ, რაც არა ერთი კონფლიქტის მიზეზი ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა „არასაკმარისად" (ე. ი. „ნოლზე") აფასებდნენ აბიტურიენტის ცოდნას. ასეთ შემთხვევებში, აბიტურიენტს პროტესტის საპასუხოდ, გამომცდელის მხრიდან შეფასების სისტემის შესახებ მოკლე განმარტების ნაცვლად იყო ხოლმე გამოწვევი შენიშვნები, რაც კიდევ უფრო ძაბავდა სიტუაციას. აღელვებული აბიტურიენტი დაჟინებით მოითხოვდა მისთვის დამატებითი შეკითხვები მიეცათ. პასუხის გაცემისას უშვებდა შეცდომებს, რასაც გამომცდელი ნიშნის მოგებით აღნიშნავდა. კონფლიქტი გარდაუვალი ხდებოდა. ასეთი „გასაუბრება" მშვიდობიანად თუ მთავრდებოდა, მხოლოდ-მხოლოდ ქიმიის კომისიის თავმჯდომარის კორექტული ჩარევის შედეგად. იმ ორი დღის განმავლობაში (25-26 ნოემბერი), რაც იქ ვიყავი, სამი გოგონა ჩავარდა ისტერიულ მდგომარეობაში, ერთ ვაჟს კი ნერვიულობისაგან მთელი ერთი დღის განმავლობაში ენა წაერთვა.

გამოკითხვისას ზოგიერთი გამომცდელი უხეშობდა, აღელვებულ გულგრილ, ცუდიკურ დამოკიდებულებას აბიტურიენტის მიმართ, კითხვის დასმისას ხმარობდა საშუალო სკოლის პროგრამისათვის უცხოთ მეცნიერულ ტერმინებს, არ ცდილობდა აბიტურიენტისთვის შეექმნა მშვიდი გარემო, პირიქით, ისედაც გალოზინებულ აბიტურიენტს თვითონ უფრო მეტად გალოზინებული პასუხობდა; ნიშანზე პროტესტის შემთხვევაში არ აძლევდა აბიტურიენტს განმარტებას, რაც კონფლიქტის თავიდან აცილების საშუალება იქნებოდა.

ის გარემოება, რომ ქიმიის ბილეთები გადანომრილი იყო და მათი წინასწარი დანიშვნა შეუძლებელი იყო, აგრეთვე ის, რომ ცუდად, მაგრამ მაინც ხდებოდა კონტროლი „მეპარტიულეობის" გამოვლენებაზე და ქიმიის კომისიის თავმჯდომარე მკაცრად ითხოვდა კომისიის წევრებისაგან გასაუბრების წესების დაცვას, ზღუდავდა პროტექციონიზმს. „ჩაწყობის" რეალიზაცია უმთავრესად შესაძლებელი იყო უშუალოდ გასაუბრების სტადიაზე. სწორედ გასაუბრების დაწყებისას იგრძნობოდა მიმღები კომისიის ზოგიერთი წევრის „გააქტიურება", „წესრიგის დაცვის" მიზნით საგამოცდო მაგიდებს შორის იწყებდნენ გადი-გამოვლას, ხან რაღაცას [illegible] გამომცდელებს, ხან [illegible] ან მიმართ მიანიშნებდნენ პროტეჟეზე. ჩემი დასწრება გასაუბრებაზე ხელს უშლიდა ზოგიერთ გამომცდელს პროტექციონიზმში, რაც აშკარად ვლინდებოდა, კერძოდ, მეტისმეტად ლოიალური გასაუბრებით, მკვეთრად რომ განსხვავდებოდა კონკრეტული გამომცდელის გასაუბრების სტილისაგან, აბიტურიენტისთვის პასუხის შემცველი კითხვის დასმით, ანუ არაპირდაპირი კარნახით, ჩემზე მინიშნებით და უსიტყვო მიმიკით უჩინარი პროტექტორის წინაშე იმის გამო, რომ სასურველ ნიშანს ვერ დაწერდა. იყო შემთხვევები, როცა გამომცდელი შეგნებულად აჭიანურებდა გასაუბრების პროცესს, რითაც მოსაფიქრებლად მჯდომ აბიტურიენტ-პროტეჟეს საშუალებას აძლევდა, დაწესებულზე მეტი დრო ეფიქრა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბიტურიენტების დიდი ნაწილი სრულიად მოუმზადებელი იყო, ქიმიაში ელემენტარული ცოდნაც კი არ ჰქონდა. იყვნენ სუსტად მომზადებული პრეტენზიული ახალგაზრდებიც. ბევრი აბიტურიენტი უნდობლად იყო განწყობილი გამომცდელის მიმართ, რაც გასაუბრებას თავიდანვე დაძაბულს ხდიდა.

გასაუბრების დამთავრების შემდეგ დაახლოებით 20 სთ-თვის, ეწყობოდა შეხვედრა პრეტენზიის მქონე აბიტურიენტებთან, რექტორი ერთ-ერთ კაბინეტში იწვევდა აბიტურიენტებსა და მათ თანმხლებ პირებს კომისიის წევრების თანდასწრებით. აბიტურიენტების უმრავლესობა ჩიოდა გამომცდელების უხეში, არაპედაგოგიური დამოკიდებულების გამო, რაც რიგ შემთხვევაში, მათი აზრით, იყო სწორედ მიზეზი შეკითხვებზე არასწორი პასუხებისა. აბიტურიენტსა და მის გამომცდელს შორის სადაო საკითხის გარკვევის პროცესში ტენდენციურად ერეოდა როგორც რექტორი, ასევე კომისიის ბევრი წევრი, ეწყობოდა კოლექტიური „თავდასხმა", იყო თავშეუკავებელი შეძახილები და გაქილიკება.

ცხადია, კარგი იქნებოდა, სსფ-ის წარმომადგენელთა დასწრება გასაუბრებაზე ყველა საგამოცდო მაგიდასთან (თუმცა, გამომცდელთა ერთი ნაწილი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას). ამგვარი ჩარევა ზოგიერთ გამომცდელს იძულებულს გახდიდა, თავი შეეკავებინა, ზოგ შემთხვევაში თავი დაეღწია პროტექციონიზმისაგან, აბიტურიენტებისადმი არაპედაგოგიური მიდგომისაგან, გამიზნულად არათანაბარი სირთულის, ზოგჯერ კი პროვოკაციული შეკითხვებისაგან, კითხვა-პასუხის არასწორად გაფორმებისაგან და ა. შ. ჩემი მოსაზრება გაიზიარა ო. წიწილაშვილმაც. გასაუბრების მეორე დღეს სსფ-მ თხოვნით მიმართა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს გ. ენუქიძეს, ნება დაერთო სსფ-ის ნდობით აღჭურვილი 7 ქიმიკოსისა და 7 ბიოლოგისთვის (ო. წიწილაშვილის და ჩემი ჩათვლით), დასწრებოდნენ გასაუბრებას თსი-ში. განცხადება გ. ენუქიძის რეზოლუციით („ამხ. ა. ასათიანს, გთხოვთ განიხილოთ და გადაწყვიტოთ") თსი-ს მიმღებმა კომისიამ განიხილა და შეუძლებლად მიიჩნია მისი დაკმაყოფილება, საგამოცდო ოთახების ფართობის სიმცირის გამო(!) სსფ-დან 14 კაცის ნაცვლად რამდენიმეს დასწრება გასაუბრებაზე მივიჩნიეთ არა მარტო არასაკმარისად, არამედ სახიფათოდაც სსფ-ის ავტორიტეტისთვის, მითუმეტეს, რომ მიმღები კომისიის წევრებმა იმ დროისათვის უკვე შესძლეს განაწყენებული აბიტურიენტებისა და მათი მშობლების გულისწყრომა გადმოეტანათ ჩვენზე, სსფ-ის წარმომადგენლებზე, იმ მოტივით, თითქოს ჩვენ არ ვაძლევთ მათ უფლებას, აბიტურიენტების ცოდნა დადებითად შეაფასონ.

29 ნოემბერს თსი-ს მისაღები გამოცდები (გასაუბრება) დავტოვეთ. ვფიქრობ, არაჯანსაღი სიტუაცია, რომელიც თსი-ში მოსამზადებელი განყოფილების მისაღებ გასაუბრებაზე სუფევდა, განპირობებული იყო არა მხოლოდ აბიტურიენტთა მიღების მანკიერი პროცედურით, რომელიც მიმღებმა კომისიამ შეარჩია, ჩემი ღრმა რწმენით, მიზანდასახულად, არამედ საგნობრივი კომისიების წევრთა ნაწილის პიროვნული თვისებებით — არაჰუმანურობით, არაობიექტურობით, უპრინციპობით.

**რ. დუნდუა.**
**25. XII. 1989 წ.**

**რედაქციისაგან:** გაზეთ „საქართველოს" რედაქცია, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმება პროტესტის გამოხატვის იმ ფორმას, რასაც აბიტურიენტებმა მიმართეს სამედიცინო ინსტიტუტში. ახეთ განუკითხავ ვითარებაში უმწეოდ „სამართლიანობას" მოტმასნილი ადამიანები სარგებლობენ და სწორედ ისინი ცდილობენ მღვრიე წყალში თევზის დაჭერას.

# მნიშვნელოვანი არჩევანის მიჯნაზე

**საქართველოს** სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე უმნიშვნელოვანეს ეტაპად მოგვაჩნია საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს — უზენაესი საბჭოს — მომავალი არჩევნები. ჩვენი აზრით, სწორედ ახალმა უზენაესმა საბჭომ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი ქვეყნის პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციისა და ეროვნული მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი, დემოკრატიული გზით განვითარების საქმეში, რისი ღირსეული დაგვირგვინებაც უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა, როგორც დე-იურე, ასევე დე-ფაქტო.

ბუნებრივია, მომავალი უზენაესი საბჭოს საქმიანობის ხასიათი ბევრად არის დამოკიდებული მისი ფორმირების წესზე — საარჩევნო კანონზე. სწორედ დემოკრატიული, ჭეშმარიტი მრავალპარტიულობის პრინციპზე დაფუძნებული საარჩევნო კანონი არის იმის გარანტია, რომ უზენაეს საბჭოში არჩეულ იქნებიან საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ერთგული და პოლიტიკური თვალსაზრისით კომპეტენტური ადამიანები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაგებია ის დიდი საზოგადოებრივი ინტერესი, რაც ამა წლის 1 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებულმა სამმა კანონპროექტმა გამოიწვია. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კანონპროექტებიდან ერთ-ერთი (კერძოდ კი — „კომუნისტში" გამოქვეყნების მიხედვით, რიგით მეორე) წარმოადგენს უზენაესი საბჭოს სპეციალური საკონსულტაციო კომისიის მუშაობის შედეგს. როგორც ცნობილია, ამ კომისიის მუშაობაში პარიტეტულ საწყისებზე მონაწილეობდნენ „დას"-ის („დემოკრატიული არჩევანი საქართველოსათვის"), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების, საქართველოს მწვანეთა პარტიის, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, საქართველოს მწვანეთა პარტიის, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, საქართველოს სახალხო ფრონტის წარმომადგენლები, აგრეთვე საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რამდენიმე დეპუტატი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს აპარატის თანამშრომლები და ექსპერტი იურისტები. რაც შეეხება დანარჩენ 2 კანონპროექტს („კომუნისტში" — I და III), ისინი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომლების მიერ არის შექმნილი.

სამივე კანონპროექტი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც უზენაეს საბჭოში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობის, ოლქების რიცხვის, დასახელების წესის, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების, ასევე საარჩევნო სისტემის მიხედვით. ჩვენს წერილში ყურადღებას გავამახვილებთ ერთ-ერთ ყველაზე უფრო პრინციპულ სხვაობაზე, რომელიც შეეხება საარჩევნო სისტემას, ანუ კანონით დადგენილი წესების, პრინციპებისა და კრიტერიუმების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც განისაზღვრება არჩევნების შედეგები. როგორც განმარტებიდანაც ჩანს, სწორედ საარჩევნო სისტემა წარმოადგენს საარჩევნო კანონის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს.

სახელმწიფო სამართალი იცნობს ორ ძირითად საარჩევნო სისტემას — მაჟორიტარულსა და პროპორციულს. თითოეულ მათგანს მრავალი სახესხვაობა გააჩნია; ამას გარდა ხშირად გამოიყენება ე. წ. შერეული საარჩევნო სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია როგორც მაჟორიტარული, ასევე პროპორციული საარჩევნო სისტემების ცალკეული პრინციპები.

გაზეთ „კომუნისტში" წარმოდგენილი კანონპროექტებიდან [illegible] საარჩევნო სისტემის [illegible] ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების [illegible] შერეულ საარჩევნო სისტემას [illegible] 301 დეპუტატი 5 წლის ვადით [illegible] 17 აგვისტოს [illegible]

დავუბრუნდეთ პირველ ორ კანონპროექტს. [illegible] 1990 წლის 9-ივ ნოემბრის [illegible]

[illegible] დეპუტატთა არჩევნები „ეწყობა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში", ხოლო 55-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პირველ ტურში არჩეულად ითვლება ის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა". აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი პროექტი ემყარება სწორედ აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას ერთმანდატიანი ოლქებით, ამიტომ, ურიგო არ იქნება, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამ სისტემის მოქმედებისას. დავუშვათ, მოცემულ ოლქში წარდგენილია პარლამენტში ასარჩევად ოთხი კანდიდატი (I, II, III, IV) და ოლქის ტერიტორიაზე არჩევნებში მონაწილე 20000 ამომრჩევლიდან I-ს ხმა მისცა — 4000-მა, II — 10100-მა, III — 3900-მა, ხოლო IV — 2000-მა ამომრჩევლმა; აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მიხედვით არჩეულად ითვლება II კანდიდატი, რომელმაც მიიღო ხმების ნახევარზე მეტი (10100).

პირველი, ყველაზე დიდი ნაკლი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისა ისაა, რომ დამარცხებული კანდიდატისათვის მიცემული ხმები ფაქტობრივად იკარგება, ზემოთ გაშხილულ მაგალითში I, III და IV კანდიდატებისათვის მიცემული ხმები (9900) დაიკარგა და ამომრჩევლებს, რომლებმაც ამ სამ კანდიდატს მისცეს ხმა, თავისი წარმომადგენელი არ ეყოლებათ პარლამენტში. ადვილი დასათვლელია, რამდენი ხმა დაიკარგება მთელი ქვეყნის მასშტაბით და რამდენი ამომრჩეველი დარჩება თავისთვის სასურველი დეპუტატის გარეშე. კიდევ უფრო მეტი ამომრჩევლის ხმა იკარგება ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მოქმედების დროს, ვინაიდან ამ დროს დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად კონკურენტებზე მინიმალური გამარჯვებაც საკმარისია.

მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პარტიის მიერ პარლამენტში მოპოვებული ადგილების ხვედრითი წილი არ შეესაბამება მის მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით მოპოვებული ხმების რაოდენობას. უფრო მეტიც, როგორც ცნობილი ინგლისელი სამართალმცოდნეები უადი და ფილიპსი შენიშნავენ, „იმ შემთხვევაში, როდესაც ორზე მეტი პოლიტიკური პარტია იბრძვის არჩევნებზე... ამ სისტემას შეუძლია სრულიად არაბუნებრივი შედეგების მოტანა. მათემატიკურად შესაძლებელია, რომ ერთმა პარტიამ მიიღოს ყველაზე მეტი ხმა მთელი ქვეყნის მასშტაბით და ამავე დროს არ მიიღოს არც ერთი ადგილი პარლამენტში". ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მრავალი მაგალითის მოყვანა იმ ქვეყნების საარჩევნო პრაქტიკიდან, სადაც არჩევნები მაჟორიტარული სისტემების გამოყენებით ტარდება. ასე, მაგალითად, 1983 წელს დიდ ბრიტანეთში არჩევნების შედეგად, რომელიც აღნიშნული სისტემით ჩატარდა, კონსერვატორულმა პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 42,4% დააგროვა, თემთა პალატაში კი ადგილების 61% მიიღო, მაშინ, როდესაც ლიბერალურ და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ალიანსმა ხმების 25,4% მიიღო, პარლამენტში კი მხოლოდ ადგილების — 4%.

მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო გამოცდილება მოწმობს, რომ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა ხელს აძლევს მხოლოდ დიდ პარტიებს, რომლებიც მრავალრიცხოვანნი არიან და მათი წევრები და მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებულნი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (ჩვენს სინამდვილეში ასეთია კომუნისტური პარტია).

აბსოლუტური უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს, კერძოდ ის, რომ ამ სისტემით ჩატარებული არჩევნები ხშირად უშედეგოა. თუ რომელიმე ოლქში ან ოლქებში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, მაშინ ლიად რჩება მანდატების განაწილების საკითხი და საჭირო ხდება არჩევნების მეორე ტურის (ზოგ ქვეყანაში კი III და IV ტურების) ჩატარება, რაც დროსთან და დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პროპორციული საარჩევნო სისტემა გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე მაჟორიტარული. ამ სისტემით ჩატარებული არჩევნების დროს თითქმის გამორიცხულია ამომრჩეველთა ხმების დაკარგვა და რაც მთავარია, ასეთი არჩევნების შედეგები რეალურად ასახავს ქვეყანაში პოლიტიკურ სიტუაციას და ამა თუ იმ პარტიის გავლენას მოსახლეობაში.

პროპორციული სისტემის ძირითადი იდეა ძალზე მარტივია — დეპუტატების მანდატები პარტიებს შორის ნაწილდება მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად.

არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებისას, ჩვეულებრივ დიდი საარჩევნო ოლქები იქმნება, ვინაიდან რაც უფრო დიდია საარჩევნო ოლქი, მით უფრო ეფექტურად ვლინდება ამ სისტემის დადებითი მხარეები. იდეალურია მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის მთელი ტერიტორია ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს. პროპორციულ სისტემით ჩატარებული არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, პარტიული არჩევნებია: ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას და შესაბამისად პარტიის მიერ წარმოდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა პარტიულ სიას. მას შემდეგ, რაც ამომრჩევლები თავიანთ ნებას გამოხატავენ და ხმები დაითვლება, განისაზღვრება საარჩევნო კვოტა, ანუ ხმების ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია დეპუტატის ასარჩევად. არსებობს საარჩევნო კვოტის დადგენის რამდენიმე წესი. „ჩვეულებრივ, თითოეული პარტია საარჩევნო ოლქში წარადგენს იმდენ კანდიდატს, რამდენი მანდატიანიც არის ოლქი, ამასთან პარტია თავად განსაზღვრავს თავის სიაში წარდგენილ კანდიდატთა თანამიმდევრობას (თუმცა, არსებობს პროპორციული სისტემის სხვადასხვა მოდიფიკაციები, რომელთა მიხედვით ამომრჩეველს ეძლევა საშუალება, არჩევანი მოახდინოს პარტიის კანდიდატთა სიის შიგნითაც — ე. წ. „თავისუფალი სიების წესი"). კენჭისყრის დასრულების შემდეგ, თუ პარტიის მხარდასაჭერად მიცემული ხმები ერთ კვოტას შეადგენს, არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელიც სიაში პირველი იყო, თუ ორ კვოტას — პირველი ორი და ა. შ. (უფრო ვრცლად პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების ძირითადი პრინციპების შესახებ იხ. გაზ. „საქართველო", №9).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნები ფაქტობრივად პარტიული არჩევნებია, და ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების წარმართვა სწორედ პოლიტიკური პარტიების პრეროგატივაა. მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული დემოკრატიული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პარტიული სისტემა, ჯერ კიდევ არ არის მზად ბევრი ამომრჩეველი უპირატესობა მიანიჭოს ამა თუ იმ პარტიის პროგრამას თუ საარჩევნო პლატფორმას მასში ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხასიათის დებულებების გათვალისწინებით და, რაც მთავარია, საკმაოდ არიან ისეთი პიროვნებები, რომლებიც არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ შედიან, მაგრამ თავისი პიროვნული თვისებებისა და კომპეტენციის გამო მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ პარლამენტში. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინეს მეორე კანონპროექტის შემუშავების დროს ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და აღნიშნული კანონპროექტი დააფუძნეს შერეულ საარჩევნო სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემისა და ერთოლქიანი პროპორციული საარჩევნო სისტემის პრინციპები (იხ. კანონპროექტის მუხლი №1), რითაც გათვალისწინებულია როგორც პარტიული, ასევე დამოუკიდებელი კანდიდატების ინტერესები, რომლებსაც ერთმანდატიან ოლქებში წარდგენის საშუალება ეძლევათ (იხ. კანონპრ. მუხლი №8).

ამ კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა განცხადებებში ისიც იყო ნათქვამი, რომ პარტიული სიებით შესაძლებელია ბევრი მოუმზადებელი პიროვნების გაყვანა პარლამენტში, რადგან ამ შემთხვევაში პერსონიფიკაციის მომენტი არ არსებობს და ამომრჩეველი ხმას აძლევს ამა თუ იმ პარტიულ სიას, მხოლოდ მისი ლიდერებისადმი სიმპათიების გამო. ჯერ ერთი, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თუ ამომრჩეველს მოსწონს ამა თუ იმ პარტიის პროგრამა, საარჩევნო პლატფორმა და ნდობას უცხადებს მის ლიდერს, რომელიც კანდიდატთა სიის სათავეშია, მაშინ იმაშიც უნდა ენდოს პარტიას და ლიდერს, რომ სიაში შეყვანილია სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც ღირსეულად უნდა განახორციელონ ამ პარტიის საპროგრამო მიზნები და ამოცანები პარლამენტში, და მეორეც, ჩვენი აზრით, არასერიოზულია იმაზე ფიქრიც კი, რომ პარტიების ლიდერები არ არიან დაინტერესებული იმით, რომ პარლამენტში საქმის მცოდნე და ღირსეული პიროვნებები ჰყავდეთ გვერდით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეორე პროექტში გათვალისწინებულია უპარტიო მოქალაქეების პარტიულ ან საარჩევნო ბლოკების სიებში დასახელების უფლება, რაც კიდევ უფრო რეალურს ხდის ღირსეული უპარტიო კანდიდატების პარლამენტში მოხვედრის ფაქტს.

საყურადღებოა ისიც, რომ სწორედ შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა არჩევნები ტოტალიტარული რეჟიმებისაგან ახლად განთავისუფლებულ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში (უნგრეთი, ჩსფრ, ბულგარეთი).

ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რიგი ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ საკონსულტაციო კომისიაში შემუშავებული კანონპროექტი საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას.

**ვახტანგ ლაპიაშვილი,**

**ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის გამგეობის წევრი.**

**P.S. და კიდევ ერთი: ნაკლოვანებებზე რომ არაფერი ვთქვათ, პირველი კანონპროექტის ხესიაზე განსახილველად გატანა იმიტომაც არ არის მართებული, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 20 ივნისის სესიის დადგენილებას, რომლის თანახმადაც მომავალი არჩევნები უნდა ჩატარდეს „მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების საფუძველზე".**

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიისათვის**

---

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესიისათვის**

# „მეორე", მაგრამ... პირველი

— **შენ** რომელი საარჩევნო კანონპროექტი მოგწონს? — მკითხა ნაცნობმა.

— „მეორე", — ვუპასუხე მაშინვე.

— მეც გკითხე რაღა, მაგის შედგენაში ხომ მრგვალი მაგიდაც მონაწილეობდა, — თვალი ჩამიკრა ნაცნობმა და ეშმაკურად ჩაიღიმა.

ეს ჩაღიმება იმას ნიშნავდა: მრგვალი მაგიდის წევრი ხარ და რასაკვირველია, თქვენს კანონპროექტს დაუჭერ მხარსო.

არ იყო მართალი ის ჩემი ნაცნობი. მიკერძოების გამო არ მომწონს „მეორე" კანონპროექტი.

მშვიდობით, შეკითხვა ჩამოვაყალიბე, თუ რატომ მომწონს.

დავიწყებ იმით, რომ გეტყვით, კანონპროექტის შედგენაში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია.

მართალი თუ გინდათ, ამის პროექტზეც კი არა მქონია, რადგან ყოველი საქმე იმან უნდა აკეთოს, ვინც ეს საქმე იცის.

კანონპროექტები, როგორც ყველა მკითხველმა, მეც 1 აგვისტოს „კომუნისტში" წავიკითხე.

როგორც ყველა სხვამ, მეც შევადარე ერთმანეთს და მერე ვთქვი, აი, ეს მართლა სჯობია ორ დანარჩენს-მეთქი.

უმთავრესი ღირსება „მეორე" კანონპროექტისა ისაა, რომ ის მე, როგორც რიგით ამომრჩეველს, ძალიან დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს.

როდესაც ამომრჩეველს მხოლოდ ის ავალია, რომ რამდენიმე კაციდან ერთი უნდა ამოირჩიოს, მისი პასუხისმგებლობა მცირეა.

თუ მაინც და მაინც ჩვენმა რჩეულმა არ ივარგა, ამით დიდი არაფერი დაშავდება. უზენაესი საბჭოს ორასზე მეტ კაცში ჩვენი დეპუტატი ისე ჩაიკარგება, რომ კაცი ვერ შეიტყობს მის სიცუდეს.

„მეორე" კანონპროექტი გვავალდებულებს, რომ უნდა ამოვირჩიოთ არა მარტო ის ერთი დეპუტატი რამდენიმე კანდიდატიდან, არამედ ამასთანავე მხარი უნდა დავუჭიროთ რომელიმე პარტიის ან ბლოკის მიერ წამოყენებულ კანდიდატთა დიდ ჯგუფს.

ამ შემთხვევაში ჩემი, როგორც ამომრჩევლის არჩევანი, იმას ნიშნავს, რომ მე საქართველოს ბედს ვანდობ ამ პარტიას (ან ბლოკს).

სწორედ ამაშია პასუხისმგებლობის სიმძიმე.

ერთ კაცში თუ შევცდით, არა უშავს, მაგრამ თუ ჩვენი არასწორი არჩევანის გამო უღირსი პარტია გაგვიპაპაჯღარდა საქართველოს უზენაეს საბჭოში ანუ პარლამენტში, ამით დიდ ცოდვას ჩავიდენთ.

(დასასრული მე-8 გვ.)

(დასასრული მე-8 გვ.)

# „მეორე“, მაგრამ... პირველი

(დასასრული)

მაგალითისთვის შორს წასვლა კი არა, ფეხის გადადგმაც არა გვჭირდება. უკან უნდა გავიხედოთ მხოლოდ.

იმ ჩვენს დამოუკიდებლობას ისე უცებ ნამდვილად არ დავკარგავდით და იქნებ სულაც არ დაგვეკარგა, მაშინ რომ რუსული ბოლშევიზმის განაყოფი ძმისთვის, სოციალ-დემოკრატიული პარტიისთვის არ მიეცა ხმა საქართველოს.

ამიტომ საჭიროა ახლა მოვიქცეთ ღირსეულად. ისე, როგორც შეეფერება საქართველოს დარბაისელ მოქალაქეებს.

მთელი სერიოზულობით მოვეკიდოთ ამომრჩევლის მოვალეობას.

საარჩევნო ყუთთან რომ მივალთ, იქ კი არ დავიწყოთ ფიქრი, თუ რომელი კანდიდატი რომელ კანდიდატს სჯობია და რომელი პარტია, რომელ პარტიას.

სამ წუთში რომ მოვახდენთ არჩევანს, ასე არჩეული პარლამენტი ისევ სამ წელიწადში და შესაძლოა სამ თვეშიც შეირცხვენს თავს.

ყოველმა ჩვენგანმა შინაურებისა თუ ნაცნობ-მეგობრების წრეში გულდინჯი მსჯელობის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი კანდიდატი და რომელი პარტია არის ღირსი იმისა, რომ საქართველოს ბედი განაგოს.

და არჩევნების დღეს შინიდან რომ გავალთ, გული ისე უნდა გვიფანცქალებდეს, როგორც ბავშვებს უფანცქალებთ პირველ გამოცდაზე.

დიახ, ჩვენც გამოცდა უნდა ჩავაბაროთ: გძალგვიძს თუ არა ახლანდელ ქართველებს და საქართველოს დანარჩენ მაცხოვრებლებს, რომ ისეთი პარლამენტი ავირჩიოთ, როგორიც საჭიროა.

მწამს, რომ ამ გამოცდას საქართველო მშვენივრად ჩააბარებს.

ამისთვის ერთადერთი რამაა საჭირო: არჩევანისას მხოლოდ ჩვენს გულსა და გონებას დავუგდოთ ყური, ხმა მივცეთ იმას, ვინც ეს ნამდვილად დაიმსახურა.

არა ჩვენს ნაცნობს, არა ნათესავს, მაზლს და დედამთილს, მამას და სიმამრს, არამედ იმას — ვინც ღირსეულია.

აი, მაგალითად, ჩვენს წინაა ორი სია: კომუნისტური პარტიისა და ჰელსინკის კავშირისა.

ნუ დავიწყებთ ამ სიებში ნაცნობმეგობრების ძებნას. ვიფიქროთ იმაზე, თუ რა გაუკეთებია საქართველოსთვის კომპარტიას და რა — ჰელსინკის კავშირს; გავიხსენოთ, რომელს ვინ ჰყავდა ან ჰყავს წევრებად და ადვილად მიხვდებით, თუ რომელ სიას უნდა დავუჭიროთ მხარი, რომელი წაიყვანს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისკენ საქართველოს...

მსჯელობაში გავერთე და დამავიწყდა, რომ ასეთი არჩევანის წინაშე მაშინ დავდგებით, თუ „მეორე“ კანონპროექტს დაამტკიცებს უზენაესი საბჭოს 17 აგვისტოს სესია.

იმედი მაქვს, ასეც იქნება.

რა მომწონს კიდევ ამ კანონპროექტში?

ის, რაც, ვიცი, არ მოეწონება უმისამართო და უკიდეგანო დემოკრატიზმის მომხრე ზოგიერთ ჩემს ვაითანამემამულეს.

კერძოდ, მომწონს ის შეზღუდვები, რომლებიც ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს კი ზღუდავენ, მაგრამ ხელს უწყობენ იმას, რომ არჩეული პარლამენტი უკეთ გამოხატავდეს ქართველი ერის ინტერესებს და არც საქართველოს სხვა მაცხოვრებელთა ინტერესებს უგულვებელყოფდეს.

მომწონს, რომ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოთა იმპერიის ჯარისკაცები.

რა უნდა იყოს უფრო დიდი ცინიზმი, ვიდრე ის, რომ ოკუპანტები მონაწილეობდნენ ოკუპირებული ქვეყნის პარლამენტის არჩევნებში — სხვას ირჩევდნენ და მათ ირჩევდნენ სხვები.

დაპყრობით ხომ დაგიპყარით, ახლა უზენაეს საბჭოშიც წამოგისკუპდებითო.

და სკუპდებოდნენ კიდეც.

ველარ მოგართვეს, ვასილ ივანიჩ!

მომწონს, რომ სავალდებულოა ქართულის ცოდნა.

სხვა ხომ იძულებული იქნება პატივი სცეს ჩვენს დედა ენას და ამასთანავე ჩვენი პატივცემული რუსეთუმეებიც გამოიბერტყავენ ყურს და ქართულად აგვილაპარაკდებიან.

მომწონს, რომ „არჩევის უფლება აქვს საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს“ და „არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე“.

სწორედ ასე უნდა იყოს. თუ ჩვენთან არა ხარ როცა გვწიხლავენ, როცა გვესვრიან და „ლაფატკას“ გვირტყამენ თავში, მაშ, საიდან გეცოდინება, ვინაა ვაჟკაცი და ვინ უნდა ავირჩიოთ ეროვნულ სათათბიროში, ხოლო შენს იქ არჩევაზე კრინტიც ვერ უნდა დაძრა, სირცხვილის გრძნობა თუ გაგაჩნია.

და ბოლოს, ისე მომწონს, მეტი რომ აღარ შეიძლება, ეს ადგილი კანონპროექტში:

„საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების სხვა არჩევითი ორგანოს წევრი“.

რატომ მომწონს ეს ამბავი?

იმიტომ, რომ ჩვენი დამონების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია მავანთა და მავანთა საყვარელი ჩვევა ორ სკამზე ჯდომისა.

თუ ეს ჩვევა არ აღმოიფხვრა, საქართველო მაშინაც მონების ქვეყნად დარჩება რუსების ტანკ-ზარბაზან-ოფიცერ-სანიტარკები დედაბუდიანადაც რომ გასხდნენ საზღვარს იქით.

ერთი სიტყვით, ეს „მეორე“ კანონპროექტი იმიტომ მომწონს, რომ ის უთუოდ გამოგვადგება სახელმძღვანელოდ ერთ სკამზე ჯდომისა, ერთი ენის, ერთი ქვეყნის და ერთი იდეის ერთგულებისა.

ეს ქვეყანა საქართველოა.

იდეა — თავისუფლება მისი.

**გურამ პეტრიაშვილი**



## „ხსენება მართალთა ქებით აღესრულების“

„პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა“, — ფსალმუნის ეს სიტყვები ზუსტად შეესაბამება ჯუმბერ ტატულაშვილის მიერ განვლილ ნახევარსაუკუნოვან ცხოვრებას; ჭეშმარიტია ისიც, რომ თავისი სიკვდილით დაიმკვიდრა განსახვენებელი მართალთა თანა, მაგრამ მაინც ძნელია შეურიგდე, რომ აღარ არის ეს ბავშვურად ალალი, თბილი, გონიერი, სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტი, დევივით ვაჟკაცი.

თავის თავზე ლაპარაკი არ იცოდა, მისი სიკვდილის მერე გავიგეთ, რომ ჯუმბერი თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოსა და სამბოში სსრკ სპორტის ოსტატი, საქართველოსა და უკრაინის არაერთგზის ჩემპიონი, სტუდენტთა შორის სსრკ პირველობის ვერცხლის მედალოსანი ყოფილა. მისი ოთახის მედალები, მის თანახოტელებს დღემდე ახსოვთ მისი ილეთები და შერკინება და [illegible] ჩამწყდარი ხმით [illegible] ჯუმბერზე წარსულ დროში ლაპარაკი...

არაერთხელ შევსწრებივართ, რა სიყვარულით ზვდებოდნენ ჯუმბერს თავისი მოსწავლეები („სახალხო განათლების წარჩინებულიც“ გახლდათ), შეუძლებელიც იყო არ გყვარებოდა, იმდენ სითბოსა და სიკეთეს ასხივებდა; სამშობლოს სიყვარულს, ქართული მიწის მადლს აზიარებდა ახალგაზრდებს, მისთვის თავდადების უნარს უღვივებდა. მთელი ცხოვრება იმას შესწირა, ქართველს თავისუფლად ეცხოვრა თავის მიწაზე და როცა ეროვნული მოძრაობა აზვავდა, ბუნებრივად დაიკავა იქ თავისი ადგილი, რომ უფრო გულიანად და ენერგიულად ეკეთებინა ის საქმე, რასაც მანამ მთელი შეგნებული ცხოვრებით ემსახურებოდა.

ჯუმბერ ტატულაშვილს უზადო, პატიოსან, სამართლიან, სიტყვის კაცად იცნობდნენ, ენდობოდნენ, უყვარდათ; მძიმეა, როცა გვერდიდან გამოგეცლება მსგავსი უღალატო მეგობარი, თანამოსაქმე და თანამებრძოლი... მხარი მოსტყდა სამაჩაბლოს ქართველობას, ახლა მეტად უნდა მოინდომონ, რომ მისი ულელიც გასწიონ... ყველამ ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ არ შეგვიწუხდეს ზეციურ საქართველოში მყოფ მამულიშვილთა სული, რომელთაც ახლა ჯუმბერიც მიემატა. მას კი წინაპართა დიდი სიბრძნით ვემშვიდობებით: „სულმან მისმან კეთილთა შინა განისვენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდრონ ქვეყანა“.

ამინ!

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება**

# კერძო დავა... გადაწყდება?

გაზეთ „საქართველოს“ ამა წლის მე-12 ნომერში დაბეჭდა წერილი „მოქალაქეთა კერძო დავა... ანუ საზოგადო ჭირი“, რომელშიც მოთხრობილია თბილისში მცხოვრები უსინათლო სოზაშვილების გასაჭირი — როგორ ართმევენ ბინას. მკითხველს დავპირდით, რომ აუცილებლად ვაცნობებდით კიროვის (აწ უკვე კრწანისის) რაიონის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას...

მაშ ასე, სასამართლოს სხდომამ 18 ივლისს გაიმართა (მოსამართლე — მ. ითარაშვილი, სახალხო მსაჯულები — ქ. ქოროღლიშვილი, მ. ჩხაიძე, სხდომის მდივანი — ლ. მეფარიშვილი). გადაწყდა — დემურ და ნანული ხუსკივაძეების სარჩელი ბინის იძულებითი გაცვლის შესახებ უსაფუძვლოდ იქნას ცნობილი.

ამასთან ერთად, სასამართლომ გამოიტანა კერძო განჩინება, კრწანისის რაიონის აღმასკომმა უნდა გაარკვიოს დემურ ხუსკივაძის თბილისში ჩაწერის კანონიერების საკითხი (სამართლოს ესწრებოდა აღმასკომის წარმომადგენელი ე. ყურაშვილი).

ყველაფერი თითქოს კეთილად დამთავრდა, სამართალმა, როგორც იტყვიან, პურა ჭამა, მაგრამ პრობლემა მაინც არაა გადაჭრილი.

საქმე ისაა — მოსარჩელეს უფლება აქვს ორი კვირის განმავლობაში განაჩენი გაასაჩივროს და ნანული ხუსკივაძე, რასაკვირველია, ასეც მოიქცა, რადგან სოზაშვილების ბინის ხელში ჩაგდება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ახლა საქმე ისევ ქალაქის სასამართლომ უნდა გაარჩიოს თავიდან (სხდომა დანიშნულია 21 აგვისტოს).

რამდენჯერ შეიძლება სასამართლომ ერთი და იგივე სარჩელი განიხილოს? ნუთუ არ არსებობს გამოსავალი ამ მოჯადოებული წრიდან?!

როგორც ჩანს, სანამ აღმასკომი არ ამოწერს სოზაშვილების ბინიდან ნანული ხუსკივაძის ძმას, დემურს, დავა არ დასრულდება (თუმცა, ამ შემთხვევაში, ნანული ხუსკივაძე, ალბათ, აღმასკომს უჩივლებს).

აუცილებლად უნდა აღინიშნოს — დემურ ხუსკივაძე 18 ივლისს კრწანისის რაიონის სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა, ისევე, როგორც არ გამოცხადდა 22 ივნისს ქალაქის სასამართლოს კოლეგიის სხდომაზე. ეტყობა, მას სრულიად არ აინტერესებს და არ ანაღვლებს მის სახელზე რიცხული ოთახი (დემურ ხუსკივაძე ცხოვრობს და მუშაობს ზესტაფონის რაიონში, მისი ცოლ-შვილიც მასთან ერთად ცხოვრობს, ჩაწერილები კი თბილისში არიან).

ნუთუ ეს ფაქტი არ კმარა იმისთვის, რომ ნანული ხუსკივაძის უსაფუძვლო, უკანონო პრეტენზიას ერთხელ და სამუდამოდ ეთქვას უარი?

ამრიგად, დავის საბოლოო გადაწყვეტა ქალაქის სასამართლოსა და კრწანისის რაიონის აღმასკომზეა დამოკიდებული...

რაც შეეხება ნანული ხუსკივაძეს, მან გვიკადრა, მობრძანდა ჩვენთან რედაქციაში და კატეგორიულად მოგვითხოვა ჩვენივე წერილის უარყოფა — ცილისწამებააო. მაგრამ რაში მდგომარეობდა ცილისწამება, ვერ აგვიხსნა...

მკითხველს შევახსენებთ, რომ ნ. ხუსკივაძე უსინათლოთა საზოგადოების მთაწმინდის, საბურთალოს და ვაკის რაიონების პირველადი ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარეა.

გვინდა ვკითხოთ უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმს — როგორ გგონიათ, აქვს ამ პიროვნებას მორალური უფლება, განაგებდეს უსინათლო ადამიანების ბედ-იღბალს?

ნუთუ არ იცით — პიროვნებას, რომელსაც დავალებული აქვს ინვალიდების მოვლა-პატრონობა, პირველ რიგში მოეთხოვება პატიოსნება და სამართლიანობა?!

**ირაკლი ლომოური**

**P.S. წერილში „მოქალაქეთა კერძო დავა... ანუ საზოგადო ჭირი“ არ აღვნიშნავს, რომ კიროვის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება თავის დროზე უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. დევდარიანმა გააპროტესტა.**

**ნურავის ნურაფერს დავუკარგავთ...**

**ი. ლ.**

(დასასრული)

# „ლიბერალთა“ გადამწყვეტი შეტევა

ერის მოძრაობა არაა ეროვნული მოძრაობა. ერის მოძრაობის შედეგად გაჩნდა შესანიშნავი მოსკოველი ბარდი ბულატ ოკუჯავა, შესანიშნავი ლიტერატორი ირაკლი ანდრონიკოვი, თვითონ არანაკლებ შესანიშნავი სამართალდამცველი ვალერი ჭალიძეც ამ მოძრაობის ნაყოფია. ეროვნული მოძრაობა სხვაა, მას სრულებით გარკვეული მიზნები აქვს. უმთავრესი მათგანია ზოგადი გაგებით ევროპულ სახლში კუთვნილი ადგილის დაკავება რუსეთის, სომხეთის, დღეს სსრკ-ს შემადგენლობაში მყოფი სხვა ქვეყნების თანასწორად, სხვა ევროპულ სახელმწიფოთა გვერდით. და, რაღა თქმა უნდა, ის, რომ ქართულ ეროვნულ მოძრაობას არ აინტერესებს საქართველოში მოსახლე არაქართველთა ჩაგვრა.

პირიქით, აფხაზეთმა, სამწუხაროდ, დაკარგა თავისი იდენტობა. უბედურებაა, როდესაც ხალხის რაღაცნაირად შეგნებულ ნაწილს არ სურს საკუთარი დედა-ენის ცოდნა, რომ მასში მოშლილია ეთნიკური თვითგადარჩენის მექანიზმი, უბედურებაა, როცა ამ „ტოტალური დემოკრატიზაციისა“ და ხალხთა გამოღვიძების ხანაში კავკასიის რუკაზე კვლავ ჩნდება შემაძრწუნებელი „ვლადიკავკაზი“. უბედურებაა, როცა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს აღარ შერჩა მკვიდრი. „ვლადიკავკაზის“ გაჩენა ჩვენს მოძმეთა და ისტორიულ მეზობელთა კულტურულ დაძაბუნებასთან ერთად, რასაც, მოდით, ნუ დავაბრალებთ ზ. გამსახურდიას, გვიჩვენებს მთლიანად კავკასიის კვდომის საშიშროებას. ქართული ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მიზანი სწორედაც რომ კავკასიის აღდგენაა. ჩვენი რწმენით, მხოლოდ გაცოცხლებულ კავკასიაში მოიპოვებს საქართველო შესაბამის ადგილს და პირიქით, კავკასიის გადარჩენა საქართველოს განთავისუფლებაზეა დამოკიდებული.

ვაი, რომ მწარე არჩევანის წინაშე დაგვაყენა ჩვენი ბუნების ნაწილად ქცეულმა კონფორმიზმმა, მოვუხაროთ ქედი სახაროვ-ჭალიძე-ბატკინ-პეჩკოს, უკვე ნიღაბახდილ ნეოიმპერიალისტებს, თუ ვარჩიოთ ჭეშმარიტ ქართველ მოღვაწეთა კვალზე შედგომა.

დრო აღარ ითმენს!

**მინაწერი:** ეს წერილი დამთავრებული მქონდა, როდესაც აღმაფრთოვანა გაზ. „სოვეტსკაია კულტურაში“ (1990 წ. 21 ივლისი) გამოქვეყნებულმა საბჭოთა პოლიტოლოგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ვიქტორია ჩალიკოვას წერილმა: „შესაძლებელია თუ არა უკონფლიქტო სცენარის არსებობა?“ შიშველი პირდაპირობით ამ წერილში შემდეგი აზრია გატარებული:

„ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინ სიტყვა „იმპერიის“ ხსენებისას წარმოდგებოდა მეფის რუსეთის სახე. დღეს „იმპერიული“ პრობლემები და „იმპერიული“ კონფლიქტები წარმოიშვება არა იმდენად რუსეთში, რამდენადაც ეროვნულ რესპუბლიკებში. არც ისე დიდი ხნის წინ, ივნისის დასაწყისში, მოსკოვში მიმდინარეობდა „ჰელსინკის თათბირი“ ადამიანის უფლებათა თაობაზე. აზრის გამოთქმის უფლება მიეცა ეროვნული რეგიონების წარმომადგენელ ყველა მსურველს. იყო მრავალი მკვეთრი, მღელვარე გამოსვლა. ინფორმაცია, რა თქმა უნდა, მთლიანად დამაჯერებელი არ ყოფილა, მაგრამ მომდინარეობდა იმ ხალხების წარმომადგენლებიდან, რომლებიც ცხოვრობენ ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით. რამოდენიმე საათის განმავლობაში ჩვენ თათბირის მონაწილენი ვისმენდით მხოლოდ იმას, რომ ქართული „იმპერია“ თრგუნავს აფხაზეთელებსა და ოსებს, უზბეკეთში თრგუნავენ ტაჯიკებსა და ყირგიზებს და ა. შ. ორატორები სრულებით გარკვეულად აცხადებდნენ, რომ თუ რესპუბლიკები დააპირებენ კავშირიდან გასვლას, მაშინ ისინი შეუერთდებიან რსფსრ-ს, რადგანაც ეს დიდი, მშვიდი, ნაკლებად ამბიციური ქვეყანაა და აქ უფრო ადვილად შეეძლებათ არსებობა.

ამიტომ დღეს ცნებამ „იმპერია“ შეიძინა რეგიონული ხასიათი და პროტესტს იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ აქვს უაღრესად რეგიონული ხასიათი“ (გვ. 4).

მაშ ასე, არც თუ დამაჯერებელი ინფორმაციის ქვეყანაზე მოფენით მოსკოვი თავისი აგენტურის მეშვეობით (ეროვნულ ყრილობაზე მოწვეული აჩბა? შამბა? მკვლელი ოზგანი? ალან ჩოჩიევი და სხვ.) ცდილობს იმ შთაბეჭდილების განელებას, რაც მოახდინა სკკპ ყრილობაზე დელეგატ გირენკოს გამოსვლამ. მან ხომ გარკვევით, საქვეყნოდ განაცხადა, რომ რსფსრ, ეს დიდი, მშვიდი, ნაკლებად ამბიციური ქვეყნის მიტოვებას სწორედ ავტონომიები აპირებენ. სექტემბრიდან თითქოს სავარაუდოა ავტონომიების მიერ სუვერენიტეტის დეკლარაციების გამოქვეყნება. ასე, რომ რსფსრ-მ ცოტა ხანში შეიძლება არსებობა შეწყვიტოს.

ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციებზე აგებს პოლიტიკას მოსკოვი, ცნება „იმპერია“ უკვე მერამდენედ იხმარება საქართველოს მისამართით, უკვე მერამდენედ აფარებს ხელს მკვლელებს მოსკოვი და არათუ აფარებს, არამედ გვისევს კიდეც მათ.

ვილაცეების მტკიცებით ამაშიც ზვიად გამსახურდიაა დამნაშავე!

ღმერთი და ისტორია იყოს მათი მსაჯული...

ჩვენ კი, უარი ვუთხრათ სახაროვის და ძმათა მისთა კონსტიტუციას და 1921 წ. დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ვიზრუნოთ.

**გიორგი მარჯანიშვილი**

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაზბევის ქ. №17. ტელ.: 292-081.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი